

ანი ჩიქოვანი

მედია მეტრეველი

1930-იანი წლების პროზა

„30-იანელთა თაობა“ ჩვენ დროში დამკვიდრებული ტერმინია. ის პირველად იმ ახალგაზრდა მწერალთა და რომანისტთა მიმართ გამოიყენეს, რომლებიც თანამშრომლობდნენ ლიტერატურულ ჟურნალთან „ნეა ღრამატა“ (1935-44 წწ.). ამ ტერმინის გამოყენება შემდგომში უფრო განივრცო და მოიცვა ამ ათწლეულში მოღვაწე ლიტერატორები. მარიო ვიტი ტერმინში „30-იანელთა თაობა“ გულისხმობს, პირობითად, ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე 1930-სა 1940 წელს შორის გამოჩნდნენ. „პირობითად“ იმიტომ, რომ თუკი შევხედავთ ზოგიერთი მწერლის დაბადების თარიღს, რომლებიც ამ თაობის არა მარტო წარმომადგენლებად, არამედ წამყვან ფიგურებადაც გვევლინებიან, შევნიშნავთ, რომ ქრონოლოგიური ჩარჩო ირღვევა. 1930 წლისათვის ბევრი მათგანი უკვე ჩამოყალიბებული მწერალია. მათ რიცხვს მიაკუთვნებს მარიო ვიტი 1892 წელს დაბადებულ სტრატის მირივილისს, რომელიც ბალკანეთის ომების დროს (1912-1913 წწ.) უკვე მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზე, ასევე 1900 წელს დაბადებულ გიორგოს სეფერისს.

ამ პერიოდში დიდი ცვლილებები ხდება საბერძნეთის როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ ცხოვრებაში. ბერძნულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის აუცილებელია იმ წინაპირობების გათვალისწინება, რომელთაც ისტორიული თემატიკა წამოსწიეს წინ, რაც თავის მხრივ ისტორიული კატაკლიზმებით იყო განპირობებული. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის შედეგად საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილი განთავისუფლდა, ახალი სახელმწიფო ეტაპობრივად იერთებდა სხვადასხვა რეგიონებს, მაგრამ რევოლუციის დაწყებიდან ერთი საუკუნის შემდეგაც კი საბერძნეთის საზღვრებს მიღმა რჩებოდა აღმოსავლეთის ნაწილი – საოცნებო მცირე აზია, ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მცირე აზიის საბერძნეთისათვის შემოერთება ბერძენთა „დიდი იდეის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, თუმცა ამ ტერიტორიათა შემოერთების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა და

შედეგად მცირე აზიის ელინიზმის კატასტროფა მოიტანა.* მცირე აზიის კატასტროფამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბერძნეთის სოციალურსა და იდეოლოგიურ ცხოვრებაზე. იგი აისახა პოლიტიკურ, სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში, პრესაში. ამ თაობის მწერალთა დიდმა უმრავლესობამ არა უბრალო დამკვირვებლის პოზიციიდან იხილა, არამედ უშუალოდ საკუთარ თავზე გადაიტანა ომის, ტყვეობისა და საკუთარი მინა-წყლიდან აყრის სიმძიმე. ამიტომ ეს მწერლები შეეცადნენ, თავისი შემოქმედების მეშვეობით გარეშე პირთათვის გაეზიარებინათ საკუთარი ტკივილი, ვნება, სწრაფვა, იმედები. ამ პერიოდის ლიტერატორთა ერთი ნაწილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები თუ ქრონიკები. მათი მიზანია მკაცრი, ულმობელი ცხოვრების ასახვა. მთავარი თემები – ადამიანი, თავისი ვნებათაღელვითა და ტრაგედიით, საკუთარი თავის კრიტიკა და მოძმის გულშემატკივრობა.

I მსოფლიო ომისა და მცირე აზიის კატასტროფის შემდეგდროინდელ საბერძნეთში ისეთი შეგრძნება სუფევდა, თითქოს მათი ქვეყნისათვის XX საუკუნე ჯერ არ დამდგარიყო. 30-იანელთა თაობა შეეცადა რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო მისი წინა თაობისაგან. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები აღორძინების, განახლების ძლიერ ნყურვილს განიცდიდნენ. დასავლეთ ევროპაში I მსოფლიო ომის კრიზისული შედეგების გადალახვას უკვე ცდილობდნენ, მაშინ როდესაც საბერძნეთში, სადაც საომარმა მდგომარეობამ ოთხი წლით მეტ ხანს გასტანა, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები არ არსებობდა. გარდატეხა ამ კრიტიკულ პერიოდში შემოაქვს გიორგოს თეოტოკასს, 30-იანელთა თაობის ე.წ. ლიტერატურული მანიფესტის ავტორს, რომელიც აცხადებს, რომ ბერძნებისათვის XIX საუკუნე 1922 წელს დასრულდა. პერიოდს 1920-სა და 1940 წელს შორის საბერძნეთში სხვაგვარად „მესოპოლემოსს“, ანუ

* მცირე აზიის კატასტროფად მოიაზრება 1919 წელს საბერძნეთის ჯარის მიერ განხორციელებული წარუმატებელი ლაშქრობა მცირე აზიაში, რომელმაც გამოიწვია ბერძენი მოსახლეობის აყრა მშობლიური მიწებიდან. დაიშხვრა ე.წ. „დიდი იდეა“. მცირე აზიის ბერძენი მოსახლეობა, რომელიც 1 მილიონს აღემატებოდა, მთლიანად და საბოლოოდ მოწყდა მშობლიურ კერას, მინა-წყალს, სადაც ცხოვრობდა და იღვწოდა 3500 წლის განმავლობაში. შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში 1923 წელს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება მოსახლეობის გაცვლის შესახებ და მათ, ვინც ხოცვა-ყლეტას გადაურჩა, ამ ხელშეკრულების თანახმად, სამუდამოდ დატოვეს თავიანთი სახლები.

ომებს შორის პერიოდს უწოდებენ,** 30-იანელთა თაობას კი – „ომთა-შუა პერიოდის“ თაობას. ამ რთულ ეპოქაში მოღვაწე მწერლებს მეტად მნიშვნელოვანი მისია დაეკისრათ, მოეძებნათ გზები, სწორად გადმოეცათ პიროვნებისა თუ საზოგადოების ბედი ისტორიული ქარტეხილების პერიოდში. როგორც კრიტიკოსი ი. პანაიოტოპულოსი აღნიშნავს, „ხელოვნება ასეთ მძიმე ეპოქაში უკვე აღარაა სიამოვნების წყარო, არც მწერლისა და არც მკითხველისათვის, არამედ იგი იძენს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ფუნქციას, აღმატებულ მიზანს და ეს მიზანია არა გულისამაჩუყებელი ისტორიის მაღალფარდოვანი სიტყვებით გადმოცემა, არამედ მწერლის დამოკიდებულების განსაზღვრა ზოგადად ცხოვრებისა და კერძოდ, ბერძნული სინამდვილის მიმართ“.

მარიო ვიტის თანახმად, „ამ დროს საბერძნეთში ორი ტიპის „უცხო“ ბერძნები მოიაზრებოდნენ: აღმოსავლელი – ლტოლვილები და დასავლელი – დასავლეთში განსწავლული, დასავლეთს ნაზიარები ბერძნები“. ამ პერიოდში ერთნი მომავლის იმედით მოდიან მოპირდაპირე ნაპირიდან, მცირე აზიიდან და სული კბილით უჭირავთ, მეორენი კი უდარდელად ევროპისაკენ მიემგზავრებიან სამოგზაუროდ და სასწავლებლად. ამ პერიოდში ბერძნული საზოგადოებისა და კულტურული ცხოვრების საფუძვლიანი გათიშვის მიზეზი პოლიტიკური ორიენტაცია გახდა. მოსახლეობა მემარჯვენეებად და მემარცხენეებად გაიყო. ეს პროცესი მსოფლიოში არსებული ტენდენციების ამსახველი გახლდათ. იგი საბერძნეთის საზოგადოებისა და პოლიტიკის შინაგანმა ფაქტორებმა განაპირობეს, მაგრამ, ამასთანავე, მასზე გავლენა საერთაშორისო მოვლენათა განვითარებამაც იქონია. ე.წ. „დიდი იდეის“ მსხვერველამ აუცილებელი გახდა ეროვნული მისწრაფებების მისადაგება რეალურ ვითარებასთან. ამ დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა შემოქმედნი, რომლებსაც სწამდათ, რომ არსებული სამყაროს უკეთესით შეცვლა შეეძლოთ. 30-იანელთა თაობამ შემოქმედებითად განაახლა პროზა, რომელშიც 1920 წლამდე მხოლოდ ყოფითი მოთხრობის ჟანრი დომინირებდა.

XX საუკუნის 30-იანელთა თაობის მწერლებისთვის ისევე, როგორც მათ წინამორბედ, XIX საუკუნის 80-იანელთა თაობის წარმომადგენლებისთვის, ძნელია ეროვნულ ტრადიციებსა და უცხოურ ზეგავლენას შორის გამყოფი ხაზის მონახვა. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე

** იგულისხმება პერიოდი I და II მსოფლიო ომებს შორის.

საბერძნეთს ოდითგანვე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის რეგულირებაში. მიუხედავად აშკარად გამოკვეთილი აღმოსავლური გარემოცვისა, საბერძნეთს ორიენტაცია მაინც ცივილიზაციის განვითარების ევროპულ მოდელზე ჰქონდა. მაგრამ ამასთანავე, ეს არჩევანი არასოდეს არ იყო აბსოლუტური. ბერძნულ ცივილიზაციაში ევროპულისა და აზიურის თანაარსებობის ხანგრძლივმა ტრადიციამ, მიუხედავად პირველზე ორიენტაციისა, არ შექმნა მისი დომინირების საფუძველი. დიმიტრის ძიოვასი აღნიშნავს: „XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების გაგება ორ ასპექტს მოიცავდა. პირველი – ეს იყო ე.წ. შინაგანი მხარე და უკავშირდებოდა წარსულის გაიდებას (წარსულისაკენ შებრუნებას), მეორე კი – გარეგანი, რომელიც ცდილობდა ევროპასთან ინტელექტუალური და კულტურული საზღვრების დარეგულირებას“. ამ პერიოდში საბერძნეთში ევროპაზე ორიენტირების გარდა შეინიშნება ძლიერი „ესოსტრეფია“ – საკუთარ თავში ჩაკეტვა და პასუხიც შეკითხვაზე, თუ რა არის საბერძნეთი – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, ხშირ შემთხვევაში შემდეგნაირად ჟღერდა – „არც ერთი და არც მეორე, საბერძნეთი საბერძნეთია“.

ევროპული ლიტერატურისათვის XX საუკუნის დასაწყისში ერთგვარ ნიშანსვეტსა თუ ზღურბლს I მსოფლიო ომი წარმოადგენს. ომი იქცა ასობით მემუარის თემად. იგი შეიჭრა მხატვრულ ლიტერატურაში. მწერლები თავისებურად გამოხატავდნენ ომის ზეგავლენას. ამ პერიოდის ევროპულ ლიტერატურაში გავრცელდა ანტიმილიტარისტული პროზა. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჰ. ბარბიუსი, გ. დიუჰამელი, რ. დორჟელესი, ე.-მ. რემარკი, და ა.შ. ომის თემა ნინა პლანზე იყო წამოწეული ამ პერიოდის ბერძნულ საზოგადოებაშიც. ამას ადასტურებს ჟურნალ „ნი პროტოპორიში“ 1932 წელს გამოქვეყნებული სტატიებიც, როგორცაა: „ინტელიგენცია და ომი“, „ტირორიზმი და ომი“, „ზღვის მუშაკნი და ომი, რომელიც მზადდება“, „ანტიმილიტარისტული მოძრაობა“, „მილიტარიზმი და მშვიდობის მოყვარულნი“, „ანტიმილიტარისტული კონფერენციის მანიფესტი“ და სხვა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ განწყობას ნათლად გამოხატავენ კოსტას პარორიტისის შემდეგი სიტყვები: „ომი დღეს ჩვენი ცხოვრებაა, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება იქამდე დაეშვა, რომ ჩახმახის ხმის მიხედვით რეგულირდება“.

ევროპაში პოპულარული ომის თემა, ახალ ბერძნულ ლიტერატურაში ევროპული ლიტერატურისაგან განსხვავებული კუთხით აისახა. თუკი ევროპულ ლიტერატურაში ანტიმილიტარისტური პროზა პირველ მსოფლიო ომს შეეხებოდა, საბერძნეთში პირველ მსოფლიო ომთან ერთად მცირე აზიის კატასტროფას ასახავდა და აქედან გამომდინარე, უფრო ეროვნული ხასიათი ჰქონდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების მწერლების შემოქმედებაში თავისებური სახითა თუ ფორმით გამოიხატა ეპოქის მტკივნეული პრობლემები, ეპოქის მაჯისცემა. თითოეული ამ მწერლის შემოქმედება დამოუკიდებელი ფენომენია, რომლის შესწავლა-ანალიზისას XX საუკუნის პრობლემათა კონკრეტული მხატვრული გააზრების მთლიანი სურათი წარმოგვიდგება. შეიძლება ლაპარაკი იმ საერთოზეც, რაც ამ ერთიანი ნაკადის მწერლობას ახასიათებს. ესაა მათი მიმართება თავისი ეპოქის ისტორიული რეალობისადმი, რაც მეტ-ნაკლებად კრიტიკულია.

ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი სიახლით გამოირჩევა 1929 წელი. ამის მიზეზი კი გიორგოს თეოტოკასია. მან ორესტის დიგენისის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ნარკვევი – „თავისუფალი სული“. თეოტოკასმა შემდგომ ათწლეულში თავისი რომანებითა და თეატრალური ნაწარმოებებით დაიმკვიდრა ადგილი ლიტერატურაში და 30-იანელთა თაობის ერთ-ერთ წამყვან მწერლად იქნა აღიარებული. იმ დროისათვის, როდესაც თეოტოკასმა „თავისუფალი სული“ დაწერა, არც ერთი ახალი მიმართულება, რომელიც შემდგომ ამ ათწლეულისათვის გახდა ნიშანდობლივი, ჯერ არ გახლდათ დამკვიდრებული. თეოტოკასი მაშინ ჯერ არ იცნობდა ყველა იმ მწერლის შემოქმედებას, ვინც შემდგომ სხვებზე მოახდინა დიდი გავლენა. მიუხედავად ამისა, „თავისუფალი სული,“ შესაძლოა, თეოტოკასის თაობის მანიფესტად ჩაითვალოს.

ელევთერიოს ვენიზელოსის* ძალაუფლების სათავეებთან დაბრუნებიდან (1928 წ.) მეტაქსასის დიქტატურის დამყარებამდე (1936 წ.) საბერძნეთში მრავალი ახალი რომანი თუ მოთხრობა გამოქვეყნდა. ამ მწერალთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიყვებოდა ცნობიერად თეოტოკასის „რეცეპტებს“, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულად გამოეხმაურა აღორძინებისაკენ, განახლებისაკენ მოწოდებას, რასაც თეოტოკასის მანიფესტი ქადაგებდა.

* საბერძნეთის ლიბერალური პარტიის დამაარსებელი და ლიდერი. 1910-15, 1917-20, 1924, 1928-32, 1933 წწ. იყო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი.

მკვლევარ როდერიკ ბიტონის აზრით, ბერძენი მწერლები ამ პერიოდში შესაძლოა სამ ჯგუფად დაიყონ. თითოეული დაჯგუფების ცენტრში არის შემოქმედებითი ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ, ჰქონდათ საერთო მიზნები. მწერალთა პირველ ჯგუფს, რომელიც ამ დროს საბერძნეთის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა, ეწოდა „ეოლიის სკოლა“. ამ „სკოლის“ წარმომადგენელ ოთხივე მწერალს – ს. მირივილისი, ი. ვენეზისი, ს. დუკასი, ფ. კონდოლლუ – 1922 წელს მცირე აზიის ბერძენი მოსახლეობის აყრისა და იძულებით გადასახლების პირადი მწარე გამოცდილება გააჩნდა. მათთვის რომანების წერა იყო საშუალება, მეხსიერებაში ცოცხლად შეენახათ ისტორიული მოვლენები. მეორე ჯგუფს როდერიკ ბიტონი „ბურჟუაზიულ რეალიზმს“ უწოდებს. ამ დაჯგუფების მწერლები, რომელთა ნაწილიც ასევე მცირე აზიიდან იყო გადმოსახლებული, ზოგადად იზიარებდნენ პირველი დაჯგუფების რეალისტურ შეხედულებებს, მაგრამ, ამავდროულად, დაჟინებით ცდილობდნენ წინ, მომავლისაკენ გაეხედათ და არ ემზირათ უკან, წარსულისაკენ. ამ დაჯგუფების ზოგიერთი წევრი გაერთიანდა ჟურნალში „ნეა ღრამატა“, რომელიც 1935 წელს დაარსდა. მათ რომანებში მოქმედება, ძირითადად, თანამედროვე (ბურჟუაზიულ) ურბანულ გარემოში ვითარდება. მათი მრავალი ნაწარმოები პირდაპირი ან ირიბი გზით სოციალურ თემებს ეხება და მძიმე იდეოლოგიური დატვირთვით გამოირჩევა. წინა ორი დაჯგუფებისაგან რადიკალურად განსხვავდება მწერალთა მესამე დაჯგუფება – „თესალონიკის სკოლა“, რომელიც ასევე „მოდერ-ნისტების“ სახელითაა ცნობილი. ამ დაჯგუფების ცენტრად გვევლინება ქალაქი თესალონიკი და ჟურნალი „მაკედონიკეს იმერეს“. ამ ჯგუფის მწერლები სრულ უგულისყურობას იჩენდნენ რეალობის ზუსტი აღწერის მიმართ და წერის მოდერნისტულ სტილს ირჩევდნენ.

ეოლიის სკოლა. მწერლები, რომლებიც პირველ დაჯგუფებაში – „ეოლიის სკოლაში“ შედიან, თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში რეალურ მოვლენებს აღწერდნენ. მათი შემოქმედება წინ უსწრებს თეოტოკასის მიერ ახალი თაობის მწერალთა შესახებ (1929 წელს) გამოქვეყნებულ მანიფესტს. მწერალთა ეს ჯგუფი ლიტერატურულ ასპარეზზე 1929 წლის შემდეგ დამკვიდრდა, როდესაც გამოქვეყნდა სტრატის დუკასის რომანი „ერთი ტყვის ისტორია“, სტრატის მირივილისის რომანი „ცხოვრება საფლავში“ და ილიას ვენეზისის რომანი „ნომერი 31328“.

დუკასი და ვენეზისი იყვნენ ლტოლვილები მცირე აზიის ქალაქ აივალდან. მირივილისი კუნძულ ლესბოსიდან გახლდათ. დაჯგუფების მეოთხე წევრი – ფოტის კონდოლლუ, ასევე ქალაქ აივალდან იყო წარმოშობით. ზემოხსენებული მწერლები ათწლეულის დასასრულამდე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქალაქ მიტილენეში. სახელი „ეოლიის სკოლა“ ოთხივე მწერლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგეოსის ერთი და იმავე რეგიონიდან წარმოშობამ განაპირობა. პირველი სამი მწერალი თავის ნაწარმოებებს რეალური მოვლენებით შთაგონებული წერს და მათი მონათხრობი რეალიზმის სულითაა გამსჭვალული, მაშინ როცა კონდოლლუს რეალიზმიდან გაქცევისაკენ ლტოლვა ახასიათებს. ამ მწერლებს ბერძნული ტრადიციების მიმართ ღრმა პატივისცემა აერთიანებთ. ისინი დაუპირისპირდნენ დასავლურ ღირებულებებს, რომლებიც მკვიდრდებოდა საბერძნეთში 1930 წლის შემდეგ.

„ეოლიის სკოლის“ წარმომადგენელთა მოღვაწეობას ეწოდა „ლესბოსური გაზაფხული“, რომელმაც არა მარტო ლესბოსს, არამედ მთელ ინტელექტუალურ საბერძნეთს ახალი სული შთაბერა. 1922 წლიდან მოყოლებული, უახლესი წარსულის მწარე გამოცდილებებით დატვირთულმა და ამავედროულად სიცოცხლისადმი სიყვარულის მგზნებარე სულისკვეთებით აღსავსე ახალგაზრდა ლესბოსელთა თაობამ ინტელექტუალური აღმასვლის ტალღა შემოიტანა არა მხოლოდ კუნძულზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იმ დროის მოღვაწეთა შორის, რომელთა სახელებიც კუნძულის ვიწრო წრეს გასცდა, არიან ილიას ვენეზისი, ასიმაკის პანსელინოსი, ანდონის პროტოპაცისი, კოსტას მაკისტოსი, ხრისანთოს მოლინოსი, სტრატის პარასკევიდიისი, თილეპის ლევკიასი, თრასივულოსი, დიმიტრის სტავრუ და მრავალი სხვა. „ლესბოსური გაზაფხული“, გ. ვალეტასის განმარტებით, იწყება ნიკოს კამბასისა და დიმ. ვერნარდაკისის შემოქმედებით. ეფტალიოტისისა და ჟურნალ „ხარავგის“ მოღვაწეთა შემოქმედება გზას უკვალავს ამ ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელიც მოიცავს მთელს ეოლიის მხარეს (მიტილენესა და კიდონიას*). იგი წარმოაჩენს ახალ სახელებს, ახალ ნაწარმოებებს, ახალ ქმნილებებს. „ლესბოსური გაზაფხულის“ ძირითადი მახასიათებლებია: პროგრესულობა, რეალიზმი, სიცოცხლით სავსე სურათები და ბერძნულ კუნძულთა პოეტური სული, ამ სულის შერწყმა აღმოსავლურ სტილთან. ამ სინთეზს უნდა ვუმადლოდეთ საინტერესო

* Κυδωνιές – კიდონია იგივე Αϊβαλή – აივალი, ქალაქი მცირე აზიის სანაპიროზე, კუნძულ ლესბოსის მოპირდაპირე მხარეს.

სახეებს ხელოვნებაში, განწყობათა და სტილის მრავალფეროვნებას. აქ რომანტიული ერწყმის კლასიკურს, რეალისტური ლირიკულს, წარმართული – ქრისტიანულს. „ლესბოსური გაზაფხულის“ უდავო ლიდერი სტრატის მირივილისი გახლდათ. იგი გაიგივებულია ახალი თაობის მწერალთა მოძრაობასთან (ლიტერატურულ დაჯგუფებასთან). როგორც მკვლევარი გ. ვალეტასი შენიშნავს, „მირივილისი, საკუთარი მოღვაწეობის პირველივე წლებიდან მოყოლებული, გვევლინება ეოლიის, ეგეოსის იმ ლიტერატურული სკოლის დამაარსებლად, რომელმაც ააღორძინა ახალი ბერძნული პროზა და ჰომეროსის თაობას გაუკვალა გზა“. მირივილისის გარშემო ახალგაზრდების წრე იკრიბება. მირივილისმა თავად დაარქვა სახელი თავის თანამოაზრეთა დაჯგუფებას. მკვლევარი ტაკის ხაძიანაღნოსტუ შენიშნავს: „თუკი იმის მტკიცება არ შეგვიძლია, რომ არსებობდა საერთო, გამაერთიანებელი ხაზი „ლესბოსური გაზაფხულის“ წევრთა შორის, რაც მას ამ ტერმინის ვიწრო გაგებით, სკოლის მნიშვნელობას მიანიჭებდა, უეჭველია, რომ იგი გამოხატავდა მწერალთა საერთო დამოკიდებულებას თავად სიცოცხლის მიმართ, მისი პრობლემების, მოთხოვნების, მისი ლამაზი და მახინჯი მხარეების მიმართ. მისთვის საინტერესო იყო არა ფორმა, ყალიბი, ან შემოქმედის ვნებათა გამოხატვის საშუალება, არამედ თავად ვნება და პათოსი, როგორც ლესბოსისა და მთელი ელინიზმის სიცოცხლის აღორძინების ორგანო“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „ლესბოსური გაზაფხული“ ჩაისახა კუნძულ ლესბოსზე – ეოლიის უძველეს სახელგანთქმულ მეტროპოლიაში, რომელიც გარდა იმისა, რომ ეოლიის უმთავრესი კულტურული ცენტრი იყო, ასევე საკუთარ გავლენას ავრცელებდა მოპირდაპირე სანაპიროზე განლაგებულ მცირე აზიაზე. ამგვარად იგი ერთგვარად ითავსებდა დასავლურსა და აღმოსავლურს, ქრისტიანულსა და მუსლიმურ ელემენტებს. კულტურათა დიალოგისათვის შესაფერის ადგილას განლაგებული ეს კუნძული, ცივილიზაციათა შეხვედრის, ურთიერთგავლენისა და ურთიერთზიარების ცენტრს წარმოადგენდა.

ეოლიის სკოლის მოღვაწეობა გ. ვალეტასს ოთხ ეტაპად აქვს დაყოფილი. თითოეული ლესბოსის ოთხ დიდ ლიტერატურულ ჟურნალს უკავშირდება. „ლესბოსური გაზაფხულის“ პირველი ტალღა ჟურნალ „ხარავგის“ უკავშირდება (1910-1914 წწ.). მისი ინიციატორები არიან ა. ეფთალიოტისი და დ. ვერნარდაკისი. მეორე ტალღა – ჟურნალ „ელპიდეს“. მან შემდეგ სახელი შეიცვალა და „ნიატა“ დაერქვა (1915-

1922 წწ.). ამ პერიოდში დიდია მირივილისის ზეგავლენა კუნძულ ლესბოსზე შექმნილ ლიტერატურაზე. „ლესბოსური გაზაფხულის“ მესამე ტალღა – ესაა ჟურნალ „კამბანას“ პერიოდი (1923-1946 წწ.), სადაც „სკოლის“ მეთაურად მირივილისი გვევლინება, თავისი ლიტერატურული ქმნილებებითა და ინტელექტუალური, იდეოლოგიური ბრძოლით. უკანასკნელი ტალღა ემთხვევა ეოლიური სკოლის აღზევებისა და საერთო ბერძნულ ასპარეზზე აშკარა პრევალირების ხანას. ამ პერიოდში გამოდის ცნობილი ჟურნალები „ლესვიაკა ფილა“ და „ტახიდრომოსი“ (1926-1946 წწ.). 1946 წლის შემდეგ აყვავების ხანა მთავრდება, აღმასვლა იკლებს. მწერალთა და მწიგნობართა უდიდესი ნაწილი საცხოვრებლად ათენში გადადის. თუმცაღა რჩება ტრადიცია, სულიერი და ინტელექტუალური ძალები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ახალი ბერძნული ლიტერატურისა და მწიგნობრობის განვითარებაში. კუნძულზე არსებული ლიტერატურული ჟურნალებისა და აღმანახების ჩამონათვალიდან, მათი მოკლე მიმოხილვიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რამდენად აქტიური იყო XX საუკუნის დასაწყისში ლესბოსზე არსებული ლიტერატურული და ინტელექტუალური ცხოვრება, თუ როგორ ეხმაურებოდა იგი მთელ საბერძნეთში არსებულ მოვლენებსა და პროცესებს და რაოდენ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში.

„ლესბოსური გაზაფხულის“ შესახებ ილიას ვენეზისი ამბობს: „მირივილისმა ამ მოძრაობას „ლესბოსური გაზაფხული“ უწოდა. განსაზღვრება „ლესბოსური“, რომლითაც მწერალს სურდა კუნძულის ინტელექტუალური და სულიერი ერთიანობისთვის განსაკუთრებით გაესვა ხაზი, სწორია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. უფრო ზუსტი იქნებოდა, ლესბოსს კი არა, ეგეოსს გასმოდა ხაზი. მართლაც, ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები და მოღვაწე მწერლები XX საუკუნის ბერძნულ სულიერსა და მხატვრულ სამყაროში განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენდნენ. ეგეოსის ზღვის აუზის მკვიდრთა შორის არსებობდა სიცოცხლისა და ადამიანისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება: ღრმა წარმართული გრძნობები, რომლებიც თანაარსებობენ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად. მათ შემოქმედებაში იგრძნობა სიხარულისა და ბედისწერის ნიავის ქროლა, წინააღმდეგობები, რომლებიც ერთობლიობაში აღებულნი ჰგვანან ქარებს, ზღვაზე რომ ჩაეხლართებიან ერთურთს. ეგეოსის მწერალთა შორის არსებობს ფანატიკური რწმენა ყოველივე ბერძნულისადმი, ყველაფერ იმის მიმართ, რასაც

ვუნოდეთ „Ελληνική Διάρκεια“ – „ბერძნული მარადიულობა, უწყვეტელობა“.

ბურჟუაზიული რეალიზმი. მწერლები, რომლებიც ლიტერატურის კრიტიკოსთა განსაზღვრებით მეორე დაჯგუფებაში, ე.წ. „ბურჟუაზიულ რეალიზმში“ მოიაზრებიან, შთაგონებულნი არიან ისტორიული ნუთის დაფიქსირების სურვილით. მათი შემოქმედება XX საუკუნის 30-იან წლებში ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს ეძღვნება. ამ დაჯგუფების მწერალთა რომანებისა და მოთხრობების სიუჟეტი ქალაქში ვითარდება, ჩვეულებრივ ათენში, უმრავლეს შემთხვევაში მოქმედების ერთი ნაწილი საბერძნეთის საზღვრებს გარეთ ხდება. ყოველი ეს რომანი შესაძლოა ჩაითვალოს სოციალურ რომანად. ხშირადაა წინ ნამონეული ბერძნულ ოჯახში მიმდინარე ცვლილებები, რაც იმ ახალ პირობებთანაა მოსარგები, მცირე აზიის კატასტროფის შედეგად რომ ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, ამ დაჯგუფების მწერალთა შემოქმედებაში ცოტა რამაა საერთო „ეოლიის სკოლის“ მწერალთა პირდაპირობასთან. პროზაული ნაწარმოების უმრავლესობაში მოქმედების დრო არ არის ძლიერ დაშორებული (ზოგში კი პირიქით, ემთხვევა) დაწერის დროს. თანაც ყველა მწერალი, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად ამკარად აკრიტიკებს საბერძნეთის ბურჟუაზიულ ცხოვრებასა და ბერძენთა ზნე-ჩვეულებებში მიმდინარე ცვლილებებს.

„ბურჟუაზიული რეალიზმის“ ნაწარმოადგენელთა შემოქმედებაში ნოვატორული ელემენტები იდეოლოგიურ და სოციალურ თემატიკას უკავშირდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ჩანს, ეს მწერლები საკუთარ თავს არ მიიჩნევენ რეალისტებად. ჭეშმარიტად შემოქმედი ხელოვანის ნაშრომი, როგორც განაცხადა თეოტოკასმა ნარკვევში „თავისუფალი სული“, „არ არის გარე მოვლენათა ობიექტური დაკვირვება, სახეთა მშრალი გადმოხატვა და მოვლენათა გამოფენა“. ამ დაჯგუფების მწერალთა სურვილი, განსხვავებულნი ყოფილიყვნენ თავისი წინამორბედი თაობისაგან, რაც ნათლად ჩამოაყალიბა თეოტოკასმა „თავისუფალ სულში“, აძლიერებდა დაპირისპირებას იმასთან, რაც რეალისტურ შეზღუდულობად ითვლებოდა. ეს მწერლები უარყოფდნენ წინა თაობის ყოფითი ჟანრის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ რეალიზმს, ვინაიდან მას „ფოტოგრაფიულად“ თვლიდნენ. ამ დაჯგუფების მწერლები მაღალ მიზნებს ისახავდნენ და უგულვებელყოფდნენ ე.წ. ლი-ტერატურული ბაზრის მოთხოვნებს.

„ბურჟუაზიული რეალიზმისათვის“ მიკუთვნებულ მწერალთა სხვადასხვაგვარი ტენდენციების თვალსაჩინო მაგალითია თეოტოკასის პირველი რომანი „არგო“ (1933-36 წწ.) და მ. კარალაცისის პირველი სამი რომანი: „პოლკოვნიკი ლიაპკინი“ (1933 წ.), „იუნგერმანი“ (1936 წ.) და „ქიმერა“ (1936 წ.).

მწერალთა ამ ჯგუფში, რომელთა ნაშრომებისათვისაც დამახასიათებელია სოციალური თემების განხილვა, გიორგოს თეოტოკასის, მ. კარალაცისისა და კოზმას პოლიტისის გარდა მოიაზრებიან: ელი ალექსიუ, თემოს კორნაროსი, მენელაოს ლუდემისი, გიორგოს ზარკოსი, გიორგოს დენდრინოსი. ამავე ჯგუფს, შესაძლოა, მივაკუთვნოთ ლილიკა ნაკუ და ტატიანა სტავრუ. ეს ის მწერლები არიან, რომლებიც მემარცხენეთა პოლიტიკურ ბანაკში გაერთიანდნენ და პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნას განიცდიდნენ. ამ დაჯგუფებისა და წინა დაჯგუფების მწერალთა დამაკავშირებელ რგოლად მოიაზრებიან ი. მ. პანაიოტოპულოსი და იანის სფაკიანაკისი.

თესალონიკის სკოლა – მოდერნისტები. მწერლები, რომლებიც „თესალონიკის სკოლას“ ანუ მესამე, ე.წ. „მოდერნისტების“ ჯგუფს შეადგენენ, ევროპაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს ახლოდან აკვირდებოდნენ. ევროპიდან მათ შეითვისეს წერის ყველაზე ნოვატორული და მოდერნისტული სტილი, რომელსაც 1920-იან წლებში საფრანგეთსა და იტალიაში სწავლისას ეზიარნენ. ამ ჯგუფის მწერალთა გეოგრაფიული ცენტრი იყო ქალაქი თესალონიკი, რომელიც იმ ეპოქაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მოდერნიზმთან დაკავშირებული საკითხები პირველად ჩამოყალიბდა და განხილულ იქნა თესალონიკის ჟურნალში „მაკედონიკეს იმერეს“. უცხოელ მწერალთა შორის, რომელთა ნაშრომებიც ითარგმნა და განხილულ იქნა ამ ჟურნალში არიან ედუარდ დიუჟარდენი (რომელიც 1887 წელს ითვლება „შინაგანი მონოლოგის“ ტექნიკის შემომტანად), ჯეიმს ჯოისი, სტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე და სხვ.

ქალაქ თესალონიკში თავმოყრილ მწერალთა ჯგუფის მოღვაწეობას თესალონიკის სკოლა ეწოდა. თესალონიკის სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან: ალკიბიადის იანოპულოსი,* გიორგოს დელი-

* მან ფსევდონიმით Alc Gian იმოღვაწევა იტალიურ ლიტერატურაში. ცნობილია, როგორც ფუტურისტი.

ოსი, რომლის შეხედულებითაც რომანისტი მოვალეობა გაიგივებულა „მისტიურ და ჩუმ შინაგან დრამასთან მწერლისა, რომელიც საკუთარი თავის მთლიანობას დაეძებს“, დაულალავი ნოვატორი სტელიოს ქსეფლუდასი და ნიკოს გავრიილ პენძიკისი – დაჯგუფების ერთადერთი წევრი, რომლის სახელიც დაჯგუფების ვინრო წრეს გასცდა. ამ ლიტერატურულ დაჯგუფებასთან მჭიდრო კავშირში განიხილებიან იანის სკარიმბასი და დაჯგუფების ერთადერთი ათენელი წევრი – იანის ბერაცისი. ისინი წინა ათწლეულის ევროპის მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული ექსპერიმენტების საკუთარ ვერსიას გვთავაზობენ.

თესალონიკის სკოლის წარმომადგენელთა რომანებსა და მოთხრობებში მოქმედება არც ტრადიციულ სოფლის გარემოში ვითარდება, რასაც უპირატესობას ანიჭებდნენ პირველი დაჯგუფების მწერლები და არც ქალაქის ცვლილებად სამყაროში, რასაც თავიანთ ნაწარმოებებში მეორე დაჯგუფების მწერლები ასახავდნენ. ნაწარმოებების უმრავლესობაში ტრადიციული სიუჟეტის ან ამბის ნაცვლად ადგილს იკავებენ მთავარი მოქმედი გმირის ქვეცნობიერი გონებრივი ქმედებები. მიუხედავად იმისა, რომ „შინაგანი მონოლოგის“ ტექნიკის სიახლე ამ კონკრეტული დაჯგუფების მწერალთა დამახასიათებელ თვისებად მოიაზრება, სინამდვილეში ამ ტექნიკის გამოყენება 1930-იან წლებში საკმაოდ შეზღუდული იყო. მონოლოგები, რომლებიც ამ რომანებში მრავალ გვერდს მოიცავენ და ხშირ შემთხვევაში თავად წარმოადგენენ რომანს, ხშირად აბსურდულ დიალოგებად მოიაზრებიან.

ყველა ეს მწერალი ცხადად უარყოფს რომანისადმი ტრადიციულ მიდგომას. ისინი არ თვლიან თხრობას საშინელ მოვლენათა წარმოდგენის საშუალებად, არც ტრიბუნად, რომლიდანაც თავისუფლადაა განხილული თანამედროვე საზოგადოებრივი და ფილოსოფიური პრობლემები. პირიქით, ცდილობენ თავისი თხრობით შექმნან ცვალებადი სინამდვილე, რომლის ერთადერთი შემადგენელი ნაწილია ფურცელზე დანერილი სიტყვები. „თესალონიკის სკოლის“ წარმომადგენლები არიან მწერლები, რომლებიც უარს აცხადებენ რეალობის ასახვაზე და წერის ახლებურ, მოდერნისტულ სტილს ირჩევენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების ყველა მწერლის ზემოხსენებულ ჩარჩოებში მოქცევა და სამ ლიტერატურულ სკოლაში გადანაწილება არ იქნებოდა მართებული. ამგვარი დაყოფა გარკვეულწილად აადვილებს მოცემული (ან თუნდაც ნებისმიერი სხვა) ეპოქის ლიტერატურის უკეთ გაგებას ამ ეპოქის თითოეული მწერლის

ამა თუ იმ ლიტერატურული სკოლის ან დაჯგუფებისათვის მიკუთვნების გზით, თუმცა როგორც სხვა ეპოქებში, ისე XX საუკუნის 30-იან წლებში არსებობდნენ მწერლები, რომელთა მოღვაწეობაც ამა თუ იმ სკოლის ვინრო ჩარჩოში არ ჯდება, მაგრამ ასევე კარგად გადმოსცემს ეპოქის მაჯისცემას. ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც ლიტერატურულ სკოლებსა თუ დაჯგუფებებში გაერთიანებულ, ასევე მათგან განცალკევებით მდგომ ლიტერატორებს.

სტრატის მირივილისი XX საუკუნის 30-იანი წლების ახალი ბერძნული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება XX საუკუნის ბერძნული ლიტერატურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საეტაპო იყო. მირივილისით მთავრდება ერთი ეპოქა და იწყება მეორე. მართალია, ლიტერატურულ ასპარეზზე იგი XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა, მაგრამ ბერძნულ მწერლობაში საპატიო ადგილი 30-იან წლებში დაიმკვიდრა და ახალი ბერძნული ლიტერატურის კრიტიკოსები მირივილისს 30-იანელთა თაობის მწერალთა პლეადაში განიხილავენ.

სტრატის მირივილისის ცხოვრება და შემოქმედება ორ პერიოდად იყოფა: ლესბოსის პერიოდი (1892-1921 წწ.) და ათენის პერიოდი (1933-1969 წწ.). ათენის პერიოდი ფაქტობრივად სრულდება 1962 წელს. ამ დროს მწერალი ავად ხდება და ველარ ახერხებს უკანასკნელი რომანის – „მაესტრო ან ბრონეულის ბალი“ დასრულებას. პირველი პერიოდის განმავლობაში „დიდი იდეის“ ოცნებებით ნასაზრდოები მწერალი, რომელიც ფანატიკოსი პატრიოტი და ბალკანეთის ომების მოხალისე მონაწილე იყო, ანტიმილიტარისტი ხდება. იგი საკუთარ ლირიკულსა და კრიტიკულ განწყობას გამოხატავს ლექსების, რიტმული პროზის, პროზაული ლექსების, მოთხრობების, ფელეტონებისა და მწვავე სტატიების მეშვეობით. მირივილისის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი აღმასვლის ხანაა, ათენის პერიოდი კი მწერლის სიმწიფის ხანას უკავშირდება. მეორე პერიოდი პირველის შევსებას წარმოადგენს. ის საგანძური, რომელიც მწერალმა მიტილენედან ჩამოიტანა, ათენში გა-მოიყენა და გააცნო საზოგადოებას. „დიმოტიკის“ შესახებ ფსიხარისის იდეებით ნასაზრდოები მირივილისი მწვავე ბრძოლას უცხადებდა „კათარეუსას“ დამცველთა და ხალხური, სალპარაკო ენის ერთგულებას ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაღვანით ადასტურებდა.

სტრატის მირივილისი (ევსტრატოს სტამატოპულოსი) დაიბადა 1892 წლის 30 ივნისს, ჩრდილოეთ ლესბოსის სოფელ სკამნიაში. მწერლის მამა, ხარალამბოს სტამატოპულოსი, სოფლის მამასახლისი იყო. თავის ნაწარმოებებში მირივილისს ხშირად აღწერს საკუთარ მამას, ან მოჰყავს ამბები, რომლებიც დედამისისაგან, ასპასია გეორგიადისისგან გაუგონია. მომავალი მწერლის სულიერ აღზრდაში დიდი როლი მისმა ბიძებმა, მწერლებმა ევსტრატოს და ნიკოლას გეორგიადისებმა ითამაშეს.

1910 წელს მირივილისი მასწავლებლად იწყებს მუშაობას კუნძულ ლესბოსის სოფელ მანდამადოსში. აქ გადაწყვიტა მან ფსევდონიმის მირივილისი მიღება. სახელის შთაგონების წყაროდ იქცა მისი მშობლიური სოფლის თავზე მდებარე ულამაზესი მთის, ლეპეტიმნოსის მწვერვალი, მირივილისი.

1910 წელი მირივილისისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. მან მონაწილეობა მიიღო ჟურნალ „ნიოტისის“ მიერ გამოცხადებულ მოთხრობის კონკურსში ნაწარმოებით „თეთრი გვირგვინი“ და გაიმარჯვა. 1911 წელს მიატოვა მასწავლებლობა და მეგობარ თ. თეოდორიდისთან ერთად სატირული ჟურნალის „სკრიპის“ გამოცემა დაიწყო. გამოცემა წყდება მათ შორის უთანხმოების გამო. მირივილისი ათენში მიემგზავრება და იწყებს სწავლას იურიდიულ ფაკულტეტზე. პარალელურად იგი ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექციებსაც ესწრება, მუშაობს ჟურნალისტად გაზეთ „პატრიდაში“, ასევე რეპეტიტორად ერთ-ერთ კერძო ლიცეუმში, რათა თავის გატანა შეძლოს.

როდესაც 1912 წლის ომი გამოცხადდა, მირივილისი, მგზნებარე პატრიოტი, თავის იმ თანამემამულეებთან ერთად, რომლებიც თურქეთის მოქალაქეები იყვნენ (ლესბოსი, საბერძნეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ თურქეთის უღელქვეშ იყო), სამშობლოს სადარაჯოზეა. იგი ხვდება და არწმუნებს ელევთერიოს ვენიზელოსს ისინი მოხალისეებად მიიღოს. მირივილისი მონაწილეობდა ბალკანეთის ორივე ომში. 1913 წელს მსუბუქად დაიჭრა კილკისის ბრძოლაში. მან ქალაქ კოზანიში გაიგო მიტილენეს განთავისუფლების ამბავი. 1914 წელს გახდა ლესბოსის დიდი გაზეთის, „სალპინგას“ მთავარი რედაქტორი. შემდეგ წელს მიტილენეში ქვეყნდება მოთხრობების კრებული „წითელი ამბები“. დეკემბერში მირივილისი ლესბოსელთა ლეგიონთან ერთად მაკედონიის ფრონტზე მიდის.

მცირე აზიის კატასტროფის შემდეგ გულგატეხილი მირივილისი მშობლიურ კუნძულზე ბრუნდება. 1923 წელს მირივილისი გამოსცემს ყოველკვირეულ გაზეთს „კამბანა“. გაზეთი დიმოტიკიზე გამოდის.

„კამბანაში“ პირველად ქვეყნდება მისი რომანი „ცხოვრება საფლავში“, რომელმაც მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. როგორც ომში მრავალნაცადი ადამიანი, იგი რეალისტურად გადმოგვცემს საბრძოლო სცენებსა და მეზრძოლთა განცდებს. მირივილისის მრავალი ნაწარმოები მოგვითხრობს ომის საშინელებასა და მის შედეგებზე, თუმცაღა ყოველი მათგანი ოპტიმისტური ხასიათისაა და აღწერს იმას, თუ როგორ უძლიერდება ადამიანს გაჭირვების წუთებში სიცოცხლისადმი ლტოლვა, როგორ უფიქრდება წარსულში გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს და როგორ იზრდება მის თვალში იმ წვრილმანების ღირებულება, რომლებიც მანამდე თითქმის შეუმჩნეველი იყო. 1924 წელს მიტილენში ცალკე წიგნად იბეჭდება რომანი „ცხოვრება საფლავში“.

1929 წელს ათენის აკადემია არ აჯილდოებს მირივილისის მოთხრობებს, ვინაიდან მათმა ავტორმა „არ ისურვა საომარ მოქმედებათა უკეთილშობილესი მისწრაფებების შენიშვნა“. 1930 წელს ათენში დაიბეჭდა „ცხოვრება საფლავში“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ათენის პრესაში, ასევე საფრანგეთშიც – პარიზის ჟურნალში *La Nevue Nouvelle*.

1933 წელს გამოდის რომანი: „ოქროსთვალეზა მასწავლებელი“, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს. მიუხედავად გაზეთებში აქტიური მუშაობისა, მწერალი ყოველ წელს ახალ წიგნს აქვეყნებს. 1935 წელს იბეჭდება მოთხრობების კრებული „მწვანე წიგნი“, 1936 წელს – საბავშვო რომანი „არგონავტი“, 1937 წელს – ლირიკულ პროზად დაწერილი: „მინის სიმღერა“ და ლექსების კრებული „პატარა ჩირაღდნები“. ესაა სიცოცხლის და მისი უშრეტელი, მარადიული შემოქმედების სადიდებელი: „ღმერთო, მე სხვა არაფერი ვარ, გარდა ერთი წვეთი წყლისა, შენს ოკეანეს რომ მოწყდა. ვარ ერთი ნაპერწკალი, შენი ლუმელიდან გზას რომ ასცდა, მეც შენი არსების ნაწილაკი ვარ, უფალო, ნათლის ნათელო,“ ამბობს მირივილისი.

1940 წლის აპრილში მირივილისი იღებს სახელმწიფო პრემიას პროზაში, მოთხრობათა კრებულისათვის „ცისფერი წიგნი“. 1943 წელს გამოიცა ნოველა „არვანელი ვასილისი“. „არვანელი ვასილისი“ კრიტიკამ ახალი ბერძნული მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად შეაჩვენა. ავტორი ისეთი რომანისა, როგორცაა „ცხოვრება საფლავში“, შორდება პრობლემატურ სინამდვილეს და რეალიზმიდან ფანტაზიისა და მოგონებების სფეროში გადადის. იგი თავს ანებებს ომის სისასტიკის აღწერას და უმიზნო ვაჟკაცობის ქებას ისახავს მიზნად. „არვანელ ვასილისში“ გმირის არქეტიპული ხასიათისა და არქეტიპული სახეების

(გველი, ხე, სისხლი, წყარო, ჩიტი და ა.შ.) გარდა ვხვდებით არქეტიპულ თემებსაც. ესენია: სიკვდილისა და კვლავ აღდგომის, მოგზაურობის, აჯანყებული გმირისა და განტევების ვაცის თემები.

1945 წელს გამოდის ნოველა „მაქციები“, 1946 წელს – ნოველა „პანი“, სადაც წამყვანი ადგილი ბუნების აღწერასა და ფოლკლორს უკავიათ.

მირივილისის ერთ-ერთი საუკეთესო რომანის „ღვთისმშობელი გორგონას“ საბოლოო ვარიანტი გამოიცა ათენში 1949 წელს. „ღვთისმშობელ გორგონაში“ ყურადღებას იპყრობს პერსონაჟთა სიმბოლური გააზრება და ავტორისეული მრავალმხრივი ასოციაციები, რაც წინააღმდეგობათა გაიგივებამდე დადის: ღვთისმშობელი იგივე გორგონაა, ხმელეთის ღვთაება იმავდროულად ზღვის ღვთაებაა, ქალღმერთი იგივე ღმერთია (ანდროგინული ღვთაება), კეთილი ღვთაებას საზარელი თვალები აქვს და მთელი ამ ურთიერსაწინააღმდეგო და ამბივალენტურ სიმბოლოთა ერთობლიობის პერსონიფიცირება ხდება ნაწარმოებში მთავარი გმირის, სმარაგდეს სახეში.

მირივილისის აღნიშნავს: „ცხოვრება საფლავში“, „ოქროსთვალება მასწავლებელი“ და „ღვთისმშობელი გორგონა“, ეს სამი წიგნი წარმოადგენდა ჯარისკაცი მწერლის მცდელობას, გამოეხატა – რამდენადაც შეეძლო – საკუთარი დამოკიდებულება ომისადმი, გამოეხატა სამი სხვადასხვა ფორმით, საბერძნეთის ცხოვრებისა და საკუთარი ლიტერატურული ოსტატობის მეშვეობით. პირველ წიგნში აღწერილია ჯარისკაცი ბრძოლაში, მეორეში – ჯარისკაცი ომიდან დაბრუნებისას, როდესაც ცდილობს ადაპტაციას ცხოვრებასთან, მესამეში წარმოდგენილია ფუძიდან აყრილი მცირე აზიის ელინიზმი, რომელიც ცდილობს გაუშვას მოკვეთილი, მაგრამ ცოცხალი ფესვები თავისი ერის თავისუფალ მიწაზე“.

მირივილისის ლიტერატურული მოღვაწეობა ნაყოფიერად ვითარდება. 1952 წელს იბეჭდება მოთხრობების კრებული „წითელი წიგნი“, 1954 წელს სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები „საბერძნეთიდან“, რომელიც მდიდარია ფოლკლორული ელემენტებით, ხოლო 1959 წელს გამოვიდა მოთხრობების კრებული „შვინდისფერი წიგნი“.

1960-სა და 1962 წლებში მირივილისის კანდიდატურა წარდგენილი იყო ნობელის პრემიის მისაღებად საბერძნეთის მწერალთა კავშირის, ბერძენ მწერალთა ეროვნული კავშირისა და ბერძენ მწერალთა გაერთიანების მიერ.

1962 წელს გამოიცა ნარკვევების კრებული „ლიტერატურის თხუთმეტი წუთი“. ამ დროს მძიმე ავადმყოფობის გამო მწერალი უკვე სანოლს იყო მიჯაჭვული. 1964 წელს გამოდის ფელეტონების რჩეული კრებული „ფრთიანი აზრები“.

სტრატის მირივილისი, რომელიც სილამაზესა და ძლიერებას ეთაყვანებოდა, ხშირად ამბობდა: „ახალგაზრდა, ფეხზე მდგომი მოვკვდებიო“, მაგრამ განგებამ სხვაგვარად იწება. სიცოცხლე მრავალწლიანი ავადმყოფობის შემდგომ, ხანდაზმულ ასაკში, 1969 წელს დაასრულა.

მირივილისის მრავალი ნაწარმოების მოქმედება მწერლის მშობლიურ სოფელში ვითარდება. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ „ოქროს-თვალეზა მასწავლებელი“ (1933 წ.), „არვანელი ვასილისი“ (1944 წ.), „პანი“ (1946 წ.), „ღვთისმშობელი გორგონა“ (1949 წ.) და სხვ. მირივილისის შემოქმედებაში უზვად ვხვდებით ავტობიოგრაფიულ ელემენტებს, რომლებიც ატარებენ პირად, სუბიექტურ, მემუარულ ხასიათს და მწერლის მშობლიურ სოფელსა და კუნძულს უკავშირდებიან. „თუკი გამოვრიცხავთ პაპადიამანდისსა და ვიზინოსს, არც ერთ ახალბერძენ პროზაიკოსს თავის შემოქმედებაში არ მოუცია იმდენი ავტობიოგრაფიული და სამშობლოს ისტორიიდან ამოკრეფილი მასალა, რამდენიც მირივილისს. მისი ყოველი გვერდი და ფურცელი შთაგონებულია მშობლიური კუნძულით. ვინც კარგად იცნობს მირივილისის შემოქმედების წყაროს, დაამონმებს, რომ მის ნაწარმოებებში არ არის არაფერი ფანტასტიკური და რაც არის – ესაა სინამდვილის აზრობრივი გაგრძელება მხატვრული შემოქმედების ფარგლებში,“ აღნიშნავს გ. ვალეტასი.

მირივილისის შემოქმედებას გ. ვალეტასი ახალი ბერძნული მოთხრობის მამად აღიარებული ალექსანდრე პაპადიამანდისის შემოქმედებას ადარებს და „მიტილენეს პაპადიამანდისსაც“ უწოდებს. მირივილისი სამწერლო ასპარეზზე პაპადიამანდისის გარდაცვალების წელსა და თვეს გამოჩნდა. ბერძნული ყოფითი ჟანრის ტრადიციებით ნასაზრდოები XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მწერალი ორი ეპოქის ზღვარზე მოღვაწეობს. იგი ასახიერებს ბერძნული პროზის გარდამავალ პერიოდს, ეპოქას, როდესაც ნატურალიზმი გზას უთმობს რეალიზმს.

მირივილისმა ახლებურად გაიაზრა ხალხური ტრადიციები, რათა დაექვემდებარებინა ისინი თავისი იდეალებისათვის, ფილოსოფიურად განეჭვრიტა ძველი და ახალი სამყარო, ჩანვდენოდა სამყაროს რაობას.

მთელი მისი შემოქმედება ადასტურებს, როგორ სასიცოცხლო ენერგიას იღებდა სტრატის მირივილისი ხალხური სიტყვიერებისგან. მისი ძარღვიანი ენა, მხატვრული სახეები, კოლორიტი, აზრის სიღრმე ხალხურ პოეზიასთან წილნაყარობით არის განპირობებული.

XX საუკუნის 30-იანი წლების გამოჩენილი მწერალია **ილიას ვენეზისი**. ის მცირე აზიის ქალაქ აივალში დაიბადა 1904 წელს. მწერლის ნამდვილი სახელი იყო ილიას მელოსი. სკოლა აივალში დაასრულა, შემდეგ კი მცირე აზიის კატასტროფა მოხდა და ყმანვილი, რომელმაც დროულად ვერ მოახერხა აივალის დატოვება, ტყვედ ჩავარდა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ტყვეობის სიმწარე და ყოველივე განცდილი თავის რომანებში ასახა. ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ იშვიათად მოიძებნება მწერალი, რომელსაც ჯერ კიდევ ახალგაზრდას იმდენი ტანჯვა-წამება გამოეველოს, რამდენიც ვენეზისს. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ილიას ვენეზისი აღმოჩნდა კუნძულ ლესბოსზე. აქ იგი დაინიშნა მოხელედ ეროვნულ ბანკში, სადაც 1957 წლამდე მუშაობდა. ლიტერატურულ ასპარეზზე პირველად გამოჩნდა მოთხრობათა კრებულთა „მანოლის ლეკასი და სხვა მოთხრობები“ (1928 წ.), 1931 წელს გამოსცა წიგნი სათაურით „ნომერი 31328“, სადაც ტყვეობაში ყოფნის თავგადასავალს აღწერს. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. „ნომერი 31328“ ვენეზისის პირადი ნომერი იყო თურქეთის საკონცენტრაციო ბანაკში. მწერალმა თანამოძმეებთან ერთად ანატოლიის სიღრმეებში, მუშათა ბანაკებში უდიდეს გამოცდას გაუძლო და ეს მწარე გამოცდილება მკითხველს გაუზიარა. ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო ვენეზისის აღმასვლა ბერძნულ ლიტერატურულ ასპარეზზე. 1939 წელს მან გამოსცა მშვენიერი რომანი „სიმშვიდე“, სადაც აღწერს სამშობლოდან აყრილი მცირეაზიელი ბერძნების ცხოვრებას, რომლებიც დასახლდნენ ატიკის ანავისოსში.

1943 წელს იბეჭდება ბავშვობის მოგონებებთან დაკავშირებული რომანი სახელწოდებით „ეოლიის მინა“. აქ უხვადაა ამაღელვებელი ლირიკული სცენები მამა-პაპათა სამშობლოდან, აივალიდან. 1943 წელს გამოიცა მოთხრობათა კრებული „ქარები“.

1946 წელს გამოდის ომის გამოცდილების ამსახველი მოთხრობები სათაურით „ომის დრო“, შემდეგ ქრონიკა „გასასვლელი“ (1950 წ.) და თეატრალური ნაწარმოები „ბლოკი C“ (ნაცისტების მიერ მწერლის დაკავებისა და ხაიდარის საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეობის შესახებ).

1961 წელს ქვეყნდება მოთხრობათა ახალი კრებული სახელწოდებით „არგონავტები“. ამასობაში მწერალმა ორი სამოგზაურო ჟანრის წიგნის გამოცემაც მოასწრო, ესენია: „შემოდგომა იტალიაში“ (1950 წ.) და „ამერიკის მინა“ (1955 წ.). ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად ილიას ვენეზისი წერს და აქვეყნებს არქივებისკოპოს დამასკელის, პოლიტიკოსის – ემ. ცუდერისის სქელტომიან ბიოგრაფიებს, აგრეთვე „საბერძნეთის ბანკის ქრონიკას“.

1957 წელს ილიას ვენეზისი აკადემიკოსად აირჩიეს, იმავდროულად ის ეროვნული თეატრის მდივნად და მმართველ მრჩეველად დაინიშნა. აქტიური და ნაყოფიერად მოღვაწე მწერალი მთელი ამ წლების განმავლობაში ყოველკვირეულ გამოცემებში – გაზეთებში „აკროპოლისი“ და „ვიმა“ ბეჭდავს საკუთარ ნაშრომებს, ატარებს ლექციებს, მოგზაურობს, აკეთებს გადაცემებს რადიომაუწყებლობაში. ვენეზისის ენა მარტივია, მის მიერ გამოყენებული სიტყვები – მკვეთრი. ერთობლიობაში მკითხველს უტოვებენ შთაბეჭდილებას იმისას, რომ მის წინაშეა მეზღაპრე, ბრძენი, მაგრამ გადაღლილი ყოველივე იმისაგან, რაც ნახა და განიცადა საკუთარი სიცოცხლის განმავლობაში. საქვეყნო აღიარებისა და დაფასების შემდეგ აღსასრული ვენეზისს უკიდურესად მძიმე ჰქონდა. სიცოცხლის ბოლო წლები მწერლისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. მას მძიმე სენი შეეყარა და დღითიდღე სუსტდებოდა, მისი წამება 1973 წლის აგვისტოში დასრულდა. ვენეზისის საფლავზე, მისი სურვილისამებრ, ერთადერთი სიტყვა აწერია „Γαλήνη“ (სიმშვიდე).

სტრატის დუკასი ფართო მკითხველისთვის „ერთი ტყვის ისტორია“ ცნობილი, ვინაიდან ეს ახალბერძნული ლიტერატურის ისტორიაში პირველი ანტიმილიტარისტული ნაწარმოებია.

დუკასი დაიბადა მცირე აზიაში 1895 წელს. I მსოფლიო ომის დროს იგი მაკედონიის ფრონტზე იბრძოდა. გარკვეული დრო ათონის მთაზე გაატარა, მუშაობდა ჟურნალისტად კუნძულ ლესბოსზე, პარალელურად აქვეყნებდა ლიტერატურულ ნაშრომებს.

1929 წელს აქვეყნებს ნაწარმოებს „ერთი ტყვის ისტორია“, რომელმაც დუკასს საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ახალ ბერძნულ ლიტერატურაში.

სტრატის დუკასი აღნიშნული ნაწარმოების ეპილოგში წერს, რომ ნაწარმოებში გადმოცემული ისტორია პირველად ქალაქ ეკატერინის

შემოგარენის ლტოლვილთა სოფლებში თავისი პირველი მოგზაურობის დროს 1928 წლის სექტემბერ-დეკემბერში მოისმინა. იქ ცხოვრობდა პიროვნება, სახელად ნიკოლა კაზაკოლლუ. იგი იმით გადარჩენილა, რომ თავი თურქად მოუჩვენებია. მწერალმა დაარწმუნა ნიკოლა კაზაკოლლუ, მოეყოლა თავისი ისტორია.

ნაწარმოების პირველ ნახევარში მოვლენები უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე მეორეში, ვინაიდან დუკასს თავიდანვე არ დაუწყია ისტორიის ჩაწერა. მეორე ნახევარი უფრო დეტალურად მოგვითხრობს გმირის თავგადასავალს. მწერალი აქ უკვე საკუთარ ჩანაწერებს ეყრდნობა. მან ჩაწერა მას შემდეგ დაიწყო, რაც თავგადასავალმა დააინტერესა.

ნაწარმოების პირველ ნაწილში აღწერილია ტყვეთა მცირე აზიის ერთი დასახლებიდან მეორეში გადაყვანა. ნიკოლა კაზაკოლლუ ერთ მეგობართან ერთად ახერხებს ღამე გაპარვას. გაპარულები ხრამს მიადგებიან და ციცაბო დაღმართს შეაფარებენ თავს. მათი განთავისუფლება თითქოს არც ისე ძნელად ხდება. აქედან იწყება ნაწარმოების მეორე ნაწილი – შინაარსობრივად უფრო ვრცელი და დაძაბული. რამდენიმე თვის განმავლობაში ყოფილი ტყვეები გამოქვაბულში იმალებოდნენ და მახლობელი წისქვილების გაქურდვით ირჩენდნენ თავს. ბოლოს კი შიმშილით შენუხებულნი გადანყვეტენ, დაშორდნენ ერთმანეთს, თავი თურქებად მოაჩვენონ და დაელოდონ გაქცევისათვის შესაბამის დროს. ამ წუთიდან ტყვე თურქულ ტანისამოსში გამოეწყობა და მახლობელ სოფლებში სამუშაოს საძებრად გასწევს. ნიკოლასი მწყემსად დაუდგება შეძლებულსა და ნაწარმოების მიხედვით კეთილ მეპატრონეს, ხაძიმემეტს, თავად კი ბეხცეტს დაირქმევს. ხაძიმემეტის ყოველი სიტყვა მამა-შვილური სიყვარულითაა გამსჭვალული. იგი დიდად აფასებს თავის ახალ მწყემსს, რომლის უმაღლესი შეფასება თურქი მეპატრონისათვის იმაში გამოიხატება, რომ ბერძნებს ადარებს: „აქ ბერძნები იყვნენ. საქმის ცოდნითა და ოსტატობით შენ მათთან დგახარ. მათსავით იცი საქმე“. „ერთი ტყვის ისტორია“ შედარებით პატარა, მაგრამ შინაარსობრივად მძაფრი ნაწარმოებია. მკითხველს მთელი სიძლიერით გადაეცემა შიში, რომელიც გმირს განუწყვეტლივ თან ახლავს, ვაი-თუ ძილში გასცეს თავი ან თავისი ეროვნება და სარწმუნოება გამოამჟღავნოს, როდესაც არ იცის, როგორი საქციელი შვენის ამა თუ იმ სიტუაციაში – განსაკუთრებით კი რელიგიური დღესასწაულების დროს მუსლიმს.

მწერალმა ნიკოლას კაზაკოლლუს ზეპირი მონათხრობი ლიტერატურულად გამართა. ყველაზე დრამატულ ეპიზოდებში დუკასი „უკუღმა“ ხაზგასმის მეთოდს იყენებს – რაც უფრო დრამატულია მოვლენები, მით უფრო მარტივია სიტყვები. როგორც მკვლევარი მარო ვიტი აღნიშნავს, „ჩვენ არ ვიცით დარწმუნებით, რა უფრო მეტად სურდა დუკასს – ეროვნული დრამის ხსოვნა შემოენახა, თუ მომავალი თაობებისათვის სუფთა სასაუბრო ენა დაეფიქსირებინა. „ერთი ტყვის ისტორია“, რომელიც პირველად 1929 წელს დაიბეჭდა, საინტერესოა ჩვენთვის, ვინაიდან ელემენტარულ სასაუბრო ენაზე შესრულებულ თხრობას წარმოადგენს. მასში არ არის დაცული ენის მაღალი სტილი. ნაწარმოების საბოლოო ტექსტი, რაღა თქმა უნდა გამართულია მწერლის მიერ, რომლისთვისაც უცხო არაა „მნიგნობრული“ ბერძნული. იგი ცდილობს გაათავისუფლოს ტექსტი მნიგნობრული ელემენტებისაგან, რომლებსაც შეეძლოთ ფასი დაეკარგათ ნაწარმოების ორიგინალურობისთვის“. დუკასს წიგნის ფურცლებზე გადააქვს ერთი ადამიანის პირადი ისტორია, რომლის მსგავსი ბევრ სხვასაც გადახდენია თავს. „ერთი ტყვის ისტორია“ შორდება ერთპიროვნულ თავგადასავალს და უნივერსალურ ხასიათს იძენს. ნაწარმოების მთავარი გმირი არანაირად არ ცდილობს განასხვავოს თავი სხვა ტყვეებისაგან. საკუთარ თავზე ზედმეტად დიდი წარმოდგენის არ გახლავთ და არა აქვს პრეტენზიები იმისა, რომ სხვებზე მაღლა იდგეს.

სტრატის დუკასის გმირი კარგად ერკვევა მცირეაზიელი ბერძნებისა და თურქების ხასიათში, მათ გამოვლინებებსა და შესაძლებლობებში, ფსიქოლოგიაში. სტრატის დუკასის ერთი ტყვის ისტორია წარმოადგენს მცირე აზიის კატასტროფის ობიექტურ ასახვას. იგი სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია და ლიტერატურულ ნაწარმოებთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც უფრო აახლოვებს დაპირისპირებულ მხარეებს, ვიდრე მტრულად განაწყობს. ავტორი შეძლებისდაგვარად მიუკერძოებლად აღწერს ფაქტებს და თუ სიკეთე დაინახა, არ უკარგავს მას არც ერთ მხარეს.

ახალი ბერძნული ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი – ხატმწერი **ფოტის კონდოლლუ** (ფოტის აპოსტოლელისის ფსევდონიმი) 1896 წელს მცირე აზიის ქალაქ აივალში დაიბადა. იგი ნიკოლაოს აპოსტოლელისა და დესპინა კონდოლლუს მეოთხე შვილი იყო. ერთი წლის ასაკში მამით დაობლდა და ოჯახის გაძლოა მისმა ბიძამ, სტეფანოს კონდოლლუმ ითავა. მომავალი მწერლის ბიძა

აია პარასკევის მონასტრის წინამძღვარი იყო. სკოლის წლები ფოტისმა აია პარასკევსა და აივალიში გაატარა, 1913 წელს კი, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ათენის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. რამდენიმე თვის შემდეგ, ბიძის ფინანსური მხარდაჭერით, სამხატვრო ხელოვნების შესასწავლად პარიზში გაემგზავრა. პარიზში ესწრებოდა ხატვის გაკვეთილებს, თანამშრომლობდა ფრანგულ ჟურნალთან *Illustration*. პარალელურად მუშაობდა საწარმოში, რათა თავი გაეტანა. 1917 წელს გაემგზავრა სამოგზაუროდ ესპანეთსა და პორტუგალიაში. 1919 წელს, I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც მუშაობა დაიწყო ქალთა სასწავლებელში ფრანგული ენისა და ხელოვნების ისტორიის მასწავლებლად. 1919 წელს დაწერა პირველი ნიგნი „პედრო კაზასი“, რომელიც ჯერ პარიზში დაიბეჭდა 1920 წელს, შემდეგ კი 1922 წელს კონდოლლუს მიერვე შესრულებული მშვენიერი და მდიდარი ილუსტრაციებით ათენში გამოიცა. ამგვარად კონდოლლუმ საუკეთესო გზით შეაჯერა საკუთარი, როგორც მწერლისა და მხატვრის მონაცემები და ასე წარდგა ბერძენი საზოგადოების წინაშე. ნიგნმა ახალგაზრდა მწერალს მაშინვე დაუმკვიდრა ადგილი ბერძნულ მწერლობაში. მან მიიქცია მკითხველის ყურადღება თავისებური სტილითა და ცოცხალი ენით. კაზანძაკისმა, სიკელიანოსმა და სხვა მწერლებმა მოინონეს მისი ნაშრომი, რომელიც უჩვეულო ლიტერატურული თვისებებით გამოირჩეოდა. მწერალი დიდი ოსტატობით აანალიზებს ესპანელი კურსარის პედრო კაზასის სულიერ სამყაროს, მის აზრებსა და ნამოქმედარს. ეს თავგადასავალი იმითაცაა უცნაური, რომ მას პედრო კაზასის მკვლელი ყვება. კონდოლლუ თავის შემდგომ ნაწარმოებებში ლიტერატურული ხერხების გამდიდრებას ესწრაფვოდა. ამ გატაცებას მწერალი ხანდახან მეტისმეტ ხელოვნურობამდე მიჰყავდა. ლიტერატურის გარდა, როგორც აღვნიშნეთ, კონდოლლუ მხატვრობითაც იყო გატაცებული. გამომსახველობითი ხერხების ძიებისას კონდოლლუ ბიზანტიურ და გვიანბიზანტიურ ჰაგიოგრაფიას მიმართავდა. 1921 წელს მან მიიღო მონაწილეობა მცირე აზიის ლაშქრობაში და კატასტროფის შემდეგ, 1922 წელს ჯერ ლესბოსს შეაფარა თავი, შემდეგ კი ათენში დაემკვიდრა. 1923 წელს ესტუმრა ათონის წმინდა მთას ბიზანტიური ხელოვნების შესასწავლად, ხელნაწერთა ასლების შესაქმნელად, რაც წარმოადგინა გამოფენებზე, ჯერ მიტილენეში, შემდეგ კი ათენში. ამავე 1923 წელს გამოქვეყნდა კონდოლლუს ლირიკული პრო-

ზით შესრულებული „ვასანდა“* ავტორისავე ილუსტრაციებით. კონდოლლუ სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებსაც წერდა. ამ მხრივ აღსანიშნავია „მოგზაურობები“ (1928 წ.), სადაც აღწერილია მოგზაურობა საბერძნეთისა და ანატოლიის სხვადასხვა კუთხეში. 1930-31 წწ. ფოტის კონდოლლუ მუშაობდა რესტავრატორად ათენის ბიზანტიის მუზეუმში, 1933 წლიდან ასწავლიდა ხელოვნების ისტორიასა და ხატვას ამერიკულ კოლეჯში, სადაც გაიცნო კაროლოს კუნი, ხოლო მისი მოსწავლეები იყვნენ იანის ცარუხისი და ნიკოს ენგონოპულოსი. 1935 წელს ფოტის კონდოლლუმ ითავა კერკირის მუზეუმის ბიზანტიური განყოფილების მონყობა, მისტრასის სამონასტრო კომპლექსის ფრესკათა რესტავრაცია და მრავალი ეკლესიის მოხატვა.

კონდოლლუს მიერ მომდევნო პერიოდში შექმნილი რჩეული ნაწარმოებებია: „სახელგანთქმული და მივიწყებული ადამიანები“ (1942 წ.), „ისტორიები და მოვლენები“ (1954 წ.), „უძველესი ადამიანები“ (1954 წ.), „გამოთქმა“ (1961 წ.), „აივალი, ჩემი სამშობლო“ (1963 წ.) და სხვა.

კონდოლლუს წერის მანერა მშვიდია, ენა უბრალო. კონდოლლუ ახალბერძნული ლიტერატურის უცნაური და თავისებური მწერალია. თუკი მისი ფერწერული ტილოები სირთულით გამოირჩევა, მხატვრული ნაწარმოებებისათვის ნაწყვეტ-ნაწყვეტი წერის მანერაა დამახასიათებელი. თავის ნაწარმოებებში იგი ნაწყვეტების სახით ავტობიოგრაფიულ მონაცემებს აღწერს. კონდოლლუს გმირების, ისევე როგორც თავად მწერლის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ღვთის ძლიერი რწმენა, რწმენა იმისა, რომ ღმერთი და ღვთისადმი სიყვარული ყველგან სუფევს. კონდოლლუს გმირთა სამყაროს მწერლის მართლმადიდებლური ხედვა ქმნის. მას სწამს ბერძნულ ფესვებთან დაბრუნების აუცილებლობა, აქცენტს კი ამ შემთხვევაში მწერალი ბიზანტიის ტრადიციებზე აკეთებს. კონდოლლუს ნაწარმოებთათვის აგრეთვე დამახასიათებელია საპირისპირო თემათა ან პერსონაჟთა ერთად წარმოდგენა. კონდოლლუს გმირთა გალერეაში ერთმანის გვერდიგვერდ შეხვედრებით წმინდანებს, მონამეეებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირებსა და მეკობრეებს, ბოროტმოქმედებსა თუ მძარცველებს – რომელთა მიმართაც მწერალი ერთნაირ პატივისცემას გამოხატავს.

* ვასანდა – სანსკრიტული სიტყვაა და ნიშნავს „გაზაფხულს“.

გიორგოს თეოტოკასი დაიბადა კონსტანტინოპოლში, მოსამართლის, მიხაილ თეოტოკასისა და ანდრონიკი ნომიკოსის ოჯახში 1905 წელს. კონსტანტინოპოლში დაამთავრა ბერძნულ-ფრანგული ლიცეუმი და 1922 წელს ოჯახთან ერთად ათენში დამკვიდრდა, სადაც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 1925 წელს გიორგოს თეოტოკასი აირჩიეს დიმოტიკისტების ორგანიზაციის „სტუდენტური გაერთიანების“ გენერალურ მდივნად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1927 წ.) სამი წლით პარიზსა და ლონდონში გაემგზავრა. ლონდონში დაწერა თავისი პირველი ნაშრომი „თავისუფალი სული“, რომელიც 30-იანელთა თაობის ლიტერატურულ მანიფესტად ჩაითვალა (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოიცა ათენში 1929 წ. ფსევდონიმით ორესტის დიგენისი). 1929 წელს თეოტოკასი დაბრუნდა ათენში, სადაც მუშაობდა მოსამართლედ და პერიოდიკაში ბეჭდავდა ნაწარმოებებს; 1940 წელს ნებაყოფლობით ჩაენერა ჯარში და იბრძოდა ალბანეთის ფრონტზე.

გიორგოს თეოტოკასი თანამშრომლობდა მრავალ ლიტერატურულ ჟურნალთან და გაზეთთან. იყო ჟურნალ „ნეა ღრამატას“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1945-46 წწ. და 1951-52 წწ. ეროვნული თეატრის დირექტორი და საბერძნეთის წარმომადგენელი ჟენევის საერთაშორისო შეხვედრებზე. 1939 წელს ათენის აკადემიამ თეოტოკასს მიანიჭა ჯილდო საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისათვის რომანისათვის „გენია“, ხოლო 1957 წელს მიიღო I სახელმწიფო ჯილდო საუკეთესო ნარკვევისათვის „ჩვენი ეპოქის პრობლემები“. თეოტოკასი წერდა პროზაულ, თეატრალურ ნაწარმოებებს, პოეზიას, ნარკვევებს, კრიტიკას, სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებს. იგი აღიარებულ იქნა 30-იანელთა თაობის ერთ-ერთ წამყვან მწერლად.

ბერძენი ხალხისა და ბერძნული გენიის შესახებ საუბრისას წიგნში „გენია“ გიორგოს თეოტოკასი აღნიშნავს: „ამ ხალხს [ბერძნებს] აშკარად გამოხატული წარმართული ბუნება აქვს. რა თქმა უნდა, მას დალი ქრისტიანობამაც დაასვა, მაგრამ ეს ქრისტიანობა ჰუმანიზმის ძლიერ გავლენას განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ იგი ანტიკური საბერძნეთის სულთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იუდაისტურ, სლავურ ან დასავლეთის ქრისტიანულ მოძღვრებებთან. საბერძნეთს ბოლომდე არასოდეს უარუყვია წინაპართა კერპთაყვანისმცემლობა. როდესაც ბერძენმა ერმა ქრისტიანობა აღიარა, ის მიიღო, როგორც ანტიკურ მისტერიათა და პლატონიზმის გაგრძელება, გავრცობა და შეითვისა ის ელემენტები, რომლებსაც ძველბერძნულ ტრადიციებთან თანაარსებობა

შეეძლოთ. შეიძლება ითქვას, რომ ხალხსა და ახალ რელიგიას შორის მოხდა ქვეცნობიერი კომპრომისი. ხალხმა ქრისტიანობიდან აიღო ის, რაც მას მოეწონა და რაც საჭიროდ მიიჩნია. რელიგიამაც თავი შეიკავა ხალხის სულიერ საწყისებთან დაპირისპირებისაგან, პირიქით, შეეცადა თანხმობაში მოსულიყო მათთან. ამ შეთანხმებაში ღმერთებმაც მიიღეს მონაწილეობა. რა თქმა უნდა, მათ დაკარგეს სახელები და ძალაუფლებების გარკვეული ნაწილი, მაგრამ შეძლეს რაღაც დონემდე საკუთარი ინდივიდუალობისა და მითოსის შენარჩუნება. ძნელი არ არის წმინდა გიორგის სახის ქვეშ ომის ღვთაების, არესის დანახვა, ანდა ზღვის ღმერთის – პოსეიდონის დანახვა წმინდა ნიკოლოზის სახეში. ბერძენთა იესოს გარკვეული მსგავსება აქვს აპოლონთან და ორფეესთან. ქარონი იქცა ქაროსად, დაკარგა თავისი ნავი და მიიღო მოხეტიალე რაინდის სახე, რომელიც სიკვდილის იდეის პერსონიფიკაციას წარმოადგენს...”

თეოტოკასის რომანში „არგო“ (1933-1936 წწ.) გადმოცემულია ომთაშუა პერიოდის ახალგაზრდების იდეოლოგიური დაპირისპირებები, მათი პრობლემები და სადარდებელი. „არგოს“ არ ჰყავს მთავარი გმირი. ნაწარმოების მიხედვით, მთავარი როლი 20-იანი წლების ათენის ცხოვრებას ენიჭება. პანორამული ტილოს შესაქმნელად თეოტოკასი, ერთი მხრივ, მოგვითხრობს სამი ძმა ნოტარასების ცხოვრებას, რომელთა ბედიც მკითხველს დოსტოევსკის ძმებ კარამაზოვებს აგონებს, მეორე მხრივ კი, აღწერს სტუდენტთა კავშირის ცხოვრებას, რომლის მითოსური სახელწოდებაც რომანის სათაურადაა გამოყენებული. გმირთა ამ დიდ დასში, რომელთა ცხოვრებაც რომანის მიხედვით ერთმანეთშია გადახლართული, ორი გმირი გამოირჩევა – პავლოს სკინასი და დამიანოს ფრანძისი. ორივე მათგანი კონსტანტინოპოლში დაბადებული ლტოლვილია, ცხოვრების პირველი წლები იქ აქვთ გატარებული და ამით გარკვეულწილად გვანან თეოტოკასს, თუმცაღა მწერლის alter ego-ს მეორეხარისხოვანი გმირი, ლამბროს ხრისტიდისი წარმოადგენს. „არგოსში“ აღწერილი საზოგადოებრივი სამყარო შემოიფარგლება მმართველი კლასით (უნივერსიტეტის მოღვაწენი, პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწენი). თეოტოკასის დამოკიდებულება არ შეიძლება ჩავთვალოთ ნეიტრალურად. ორი გმირის გარდა (დასახელებული ხრისტიდისი და სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე) ყველა სხვა მთავარ გმირს ამოძრავებს ძალაუფლების ან ზოგადად მიღწევების სურვილი, რასაც თეოტოკასმა უწოდა „δυσότιο“ – ნიჭიერება, გენია,

რომელიც ადამიანს არ ასვენებს და მუდმივად უბიძგებს ქმედებისაკენ. ნანარმოებში მითიური გმირის, იასონის მიერ ოქროს საწმისის ძიების შესახებ მითითება მიანიშნებს რომანის მთავარი გმირების სადარდებელზე, მათ ძიებაზე. ეს ძიება მრავალი სხვადასხვა ხერხით ხორციელდება და მიზნად ისახავს იდეალის მოპოვებას, რომელიც საბოლოოდ – როგორც ამას მწერლის alter ego, ლამბროს ხრისტიდისი აღიარებს – მიუღწეველი აღმოჩნდება.

თეოტოკასი აზრის გადმოცემისა და სტილის საოცარი სინმინდით გამოირჩევა. რომანში „ლეონი“ (1940 წ.), ისევე, როგორც „არგოში“, ავტორი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, გადმოგვცემს ომთაშუა ხანის ახალგაზრდობის იდეოლოგიური პოლემიკის ატმოსფეროს, საინტერესოდ აყალიბებს თავისი სიყმანვილის მოგონებებს მცირეაზიური სამხედრო კამპანიის შესახებ. ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად გ. თეოტოკასის ღვაწლის შესაფასებლად უდიდესი მნიშვნელობა მის კრიტიკულ წერილებსა და ნარკვევებს ენიჭებათ. ამათგან მნიშვნელოვანია: „ნარკვევები ამერიკაზე“ (1954 წ.), „ეროვნული კრიზისი“ (1966 წ.), „მართლმადიდებლობა ჩვენს დროში“ (1979 წ.), „პოლიტიკური ტექსტები“ (1976 წ.) და სხვ. გ. თეოტოკასის ნარკვევები ევროპულ იდეალებსა და დემოკრატიის პრინციპებს ქადაგებენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე თეოტოკასის წვლილი ბერძნული დრამატურგიის განვითარებაში. თეოტოკასის კალამს ეკუთვნის 13 თეატრალური პიესა, რომლებიც გაერთიანებული ორტომეულში „თეატრალური ნანარმოებები (ტ. I. 1965 წ., ტ. II – 1966 წ.). ამათგან ყველაზე საინტერესოა: „ანაპლის მახლობლად“, რომლის ძირითად თემასაც ი. კაპოდისტრიასის მკვლევლობა წარმოადგენს, „ორიასის ციხე-სიმაგრე“ – პაროდია ცნობილი ნანარმოებისა „არტას ხიდი“ და ხალხური სიმღერის სტილით დაწერილი „დოდეკაპერონის სიზმარი“. გ. თეოტოკასის ნანარმოებები მრავალ უცხო ენაზეა თარგმნილი.

ანგელოს ტერზაკისი ახალი ბერძნული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მას ახალბერძნული სინამდვილის კრიტიკოსსა და ლირიკოს პროზაიკოსს უწოდებენ მკვლევარნი. წერდა რომანებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებს. დაიბადა ნავპლიოში 1907 წელს. 1916 წლიდან ათენში ცხოვრობდა. სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, 1929 წელს კი ადვოკატად დაიწყო მუშაობა;

თუმცა ადვოკატის კარიერა მალე მიატოვა, რათა ცხოვრება ხელოვნებისათვის და ლიტერატურისათვის მიეძღვნა. ტერზაკისი მუშაობდა ეროვნულ თეატრში გენერალურ მდივნად, შემდეგ კი ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად, ჟურნალების: „პნოი“, „ლოგოსი“ და „იდეა“ რედაქტორად. ბერძნულ მწერლობაში ანგელოს ტერზაკისი გამოჩნდა 1925 წელს მოთხრობათა ციკლით „მივიწყებული“. იგი ამ დროს 18 წლისაა. ეს წიგნი განსაკუთრებული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მასში ჯერ კიდევ მოუმწიფებელი მწერალი იგრძნობა.

1929 წელს ტერზაკისი წარდგა მკითხველთა წინაშე მოთხრობათა კრებულით „შემოდგომის სიმფონია“. 1932 წელს დაიბეჭდა მისი პირველი რომანი „მიჯაჭვულნი“. შესავალში ტერზაკისი წერს: „გარდამავალ ეპოქაზე მეტად მსურდა გადმომეცა ჩემი გმირების გარდამავალი სულიერი მდგომარეობა“. 1933 წელს გამოდის რომანი „მკაცრთა დაცემა“. პირველი რომანი რეალისტურია, რომანის თემაა საშუალობურ-ჟურნალისტური ოჯახი, რომლის ცხოვრებასაც მწერალი დეტალურად აღწერს, ანალიზს უკეთებს მისი წევრების ფსიქიურ სამყაროს. მეორე რომანი პირველზე უკეთესია. აქ მწერალი წარმოგვიდგენს ორი ბავშვის უბედურ ყოფას, რომელსაც თანდათანობით ანადგურებს მათი პარალიზებული მამის ცხოვრება.

1937 წელს გამოქვეყნებული რომანი – „იასამნისფერი ქალაქი“ ეძღვნება ადვოკატ მელეტის მალვისის ამბავს, რომელიც მეუღლის სიკვდილის შემდეგ თავის ორ შვილთან ერთად ათენის კოლორიტულ უბანში, პლაკაზე, განაგრძობს ცხოვრებას. რომანში ულამაზესი ფერებითაა და-ხატული ძველი ათენი.

რომანებთან ერთად მწერალი აქვეყნებს მოთხრობებსა და ნოველებს: „სიყვარულისა და სიკვდილის ამბავი“ (1942 წ.), „ზრუნვა“ (1944 წ.), სადაც მამაკაცი ერთად თანაცხოვრობს დედასთან და მის ქალიშვილთან, „აპრილი“ (1946 წ.). ოჯახურ პრობლემებს ეძღვნება ტერზაკისის 1951 წელს დაბეჭდილი მოთხრობა „ღმერთის გარეშე“. ნაწარმოების მიხედვით, საშუალო ასაკის კაცი ზრდის დისშვილებს, რომლებიც მის ამავს არად აგდებენ და ყოველგვარ იმედს უცრუებენ.

ანგელოს ტერზაკისს სწამს, რომ რომანი ახალგაზრდების თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. თანამედროვე სამყაროს აღწერასთან ერთად ტერზაკისი ლეგენდებით მოცულ შორეულ წარსულსაც მიმართავს და წერს ისტორიულ რომანს „პრინცესა იზაბო“. 1945 წელს

გამოქვეყნებული ეს სქელტომიანი რომანი ეროვნული სულითაა გამსჭვალული. რომანის მთავარი გმირია კეთილშობილი ოჯახის შვილი, რომელიც ებრძვის ლათინ ფეოდალებს ღარიბ-ღატაკთა გულისათვის. რომანს XIII საუკუნის პელოპონესოსზე გადაყვართ, ფრანკთა ბატონობის ეპოქაში. ნაწარმოების მთავარი გმირი, სლუროსი, ფრანკებთან შეტაკების შემდეგ ტოვებს მშობლიურ ნავსლიოს. ქუჩაში შემთხვევით შეხვდება პრინცესა იზაბოს და შეუყვარდება. იგი ქალსაც შეუყვარდება და იწყება მათი ტანჯვა-წამება. ვაჟი საბერძნეთის სიყარულს, სამშობლოს თავისუფლებასა და იზაბოს სიყვარულს შორის მერყეობს, ქალი კი, რომელსაც ბერძენი დედა ჰყავს, თანაუგრძნობს ბერძენს, უყვარს სლუროსი, მაგრამ საკუთარი სამშობლოს გაყიდვა არ ძალუძს. ასე შორდებიან ერთმანეთს შეყვარებულები. სლუროსი, საბერძნეთის ერთგული, მთებში მიდის, იზაბო კი, რომელსაც გული სიყვარულით აქვს აღსავსე, დასავლეთისაკენ მიემგზავრება.

ტერზაკისის კალამს მდიდარი სამწერლო შემოქმედების გარდა ეკუთვნის აგრეთვე ნარკვევების 6 ტომი: „ორიენტაციები საუკუნეზე“ (1963 წ.), „ინტრიგანის საიდუმლო“ (1964 წ.), „ბერძნული ეპოპეა“ (1964 წ.), „ედღენება ტრაგიკულ მუზას“ (1970 წ.), „კაენის შთამომავლები“ (1972 წ.), „ზღვით მოგზაურნი“ (1975 წ.), ამათგან თავისი ეროვნული ხასიათის გამო აღსანიშნავია „ბერძნული ეპოპეა“, რომელიც პატრიოტული ტონით გამოირჩევა.

მ. კარალაცისი ახალი ბერძნული ლიტერატურის XX საუკუნის 30-იანელთა თაობის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მწერალია. მიუხედავად ამისა მან 30-იანი წლების ბერძნული ლიტერატურის მოდერნიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა. კარალაცისმა ევროპაში დასმული პრობლემები ბერძნული სინამდვილის ფარგლებში გადმოიტანა. მწერალი ეზიარა ფრანგულ ნატურალიზმსა და რეალიზმს, ფროიდის ბიოლოგიურ თეორიებს, მატერიალიზმს, დოსტოევსკის მიერ შექმნილ ფსიქოლოგიურ ტიპებს. XX საუკუნის ბერძენ მწერალთაგან კარალაცისმა პირველმა სცადა, ეჩვენებინა, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ეროტიკა და სექსი ადამიანთა ურთიერთობებში. მისი შემოქმედება არ არის არც ეროტიკული ლიტერატურა და არც პორნოგრაფია. მის ნაწარმოებებში ჩანს ეროტიკული პათოსი და ამასთანავე ნატურალიზმის ელემენტები, ერთი მხრივ ფროიდისტული კონცეფციები და, მეორე მხრივ, ეროტიკულ-რომანტიკული ხასიათები.

„ჩემს ახალგაზრდობაში – ამბობს ცნობილი ბერძენი მწერალი მარო დუკა – სამი საყვარელი მწერალი მყავდა, და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი თუ რას ნიშნავდა თაობები, სკოლები, ლიტერატურული მიმდინარეობები. ესენი იყვნენ: ქსენოპულოსი, კარაღაციისი და კაზანდაკისი. ბერძენი და მშვიდი ქსენოპულოსი სამყაროს ცუდსა და კარგს შორის დაპირისპირებაში წარმომიდგენდა. კაზანდაკისი მაფხიზლებდა, მაჩვენებდა რა დაუმორჩილებელ ადამიანს, ხოლო ახალგაზრდა და ფეთქებადი მ. კარაღაციისი ფარდას სწევდა, რათა გამოეაშკარავებინა ტრაგიკულ სახეებში ადამიანები, რომლებიც ლიბიდოსაგან იტანჯებოდნენ.“

მ. კარაღაციისი (დიმიტრის როდოპულოსის ფსევდონიმი) დაიბადა 1908 წლის 23 ივნისს ათენში. დიმიტრის როდოპულოსმა საშუალო განათლება ქალაქ ლარისაში მიიღო. (მისი სკოლის მასწავლებელი – ქალბატონი ნიცა – ოცი წლის გოგონა იყო, რომლის შთაგონებითაც დიმიტრის როდოპულოსმა მოთხრობების წერა დაიწყო. 1927 წელს ჟურნალში „ნეა ესტია“ ის აქვეყნებს თავის პირველ მოთხრობას „ქალბატონი ნიცა“.

მომავალი მწერალი ბერძნულ ლიტერატურაში ფსევდონიმით წარსდგა, რადგანაც მამამისმა აუკრძალა შვილს ოჯახის გვარის გამოყენება. ის თვლიდა რომ მისი შვილი, რომლის განათლებაზეც ის ასე ზრუნავდა, თავისი საქმიანობით ოჯახს საშინლად არცხვენდა. დასაწყისში მწერალი იყო პტელეატისი, ხოლო მოგვიანებით კარაღაციისი. ფსევდონიმი კარაღაციისი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *καρυάτι*, რაც თელას ნიშნავს. ცნობილია რომ ბავშვობაში მწერალს ძალიან უყვარდა თავისი სახლის წინ მდგარ თელაზე აძრომა, სადაც ის მშვიდად კითხულობდა თავის საყვარელ წიგნებს. რაც შეეხება დასაწყის „მ“-ს, ის სავარაუდოდ არის სახელ მიტიას პირველი ასო. სწორედ ასე ეძახდნენ ბავშვობაში მწერალს მეგობრები, რადგანაც იცოდნენ რომ მისი უსაყვარლესი რომანი იყო დოსტოევსკის ძმები კარამაზოვები. კარაღაციისი არასოდეს არ წერდა სრულად თავის სახელს და სწორედ ამის გამო მრავალი მეცნიერი ინიციალ „მ“-ს სხვადასხვანაირად ხსნიდა. ზოგი მიიჩნევდა რომ ეს იყო მიხალისი, მანოლისი და ა.შ.

1925-33 წლებში კარაღაციისს უკვე ოცდასამამდე მოთხრობა ჰქონდა დაწერილი, რომლებიც მოგვიანებით შევიდა კრებულში „სიყმანვილის მოთხრობები“.

1933 წელს მ. კარალაცისმა გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „პოლკოვნიკი ლიაპკინი“, რომელმაც საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვია. მწერლის მიზანი იყო ეჩვენებინა, თუ როგორ ეგუება უცხოელი, და ამ შემთხვევაში რუსი პოლკოვნიკი ლიაპკინი, ბერძნულ საზოგადოებას და ზოგადად საბერძნეთს, როგორია მისი ბედი უცხო მიწაზე.

1936 წელს კარალაცისი აქვეყნებს თავის მეორე ნაწარმოებს „ქიმერა“, რომლის სრული ვარიანტი, რომანი „დიდი ქიმერა“ 1953 წელს გამოქვეყნდება. ნაწარმოები მოგვითხრობს ფრანგი ქალის – მარინას ტრაგიკულ ისტორიას, რომელიც ცოლად გაჰყვა ბერძენ კაპიტანს იანისს და მასთან ერთად საბერძნეთში იმედებით აღსავსე ჩავიდა. თუმცა მისი ცხოვრება უცხო მიწაზე საკმაოდ რთული აღმოჩნდა გმირისთვის და მან საბოლოოდ სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსებმა სასტიკად გააკიცხეს მწერლის თავისუფალი აზროვნება, სკანდალური რეალიზმი, წერის ნაუცბადევი მანერა და მისი სექსუალური მსოფლმხედველობა – ჰედონიზმი, რომანმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. რომანის ძირითადი პრობლემატიკა, რითაც, ვფიქრობ, ის ძალზე მნიშვნელოვანია, არის ქალის სტატუსის, მისი თავისუფლების საკითხი. იმ დროს, როცა ამ პრობლემის შესახებ ევროპაში თავისუფლად საუბრობდნენ, ბერძნული საზოგადოება ამ თემაზე სახალხოდ მსჯელობას თავს არიდებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცნობი არ იყო არც XX საუკუნის ევროპაში მიმდინარე „სექსუალური რევოლუცია“ და არც ფროიდის ფიზიოლოგიური თეორიები.

„დიდი ქიმერა“ მწერალმა სუსტი სქესის წარმომადგენლებს მიუძღვნა. რომანში წინა პლანზე გმირი ქალის ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათია წამოწეული. ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის აქამდე უცხო იყო გმირი ქალის ისეთი რთული ხასიათის დახატვა, როგორიც კარალაცისმა შექმნა. მან შეძლო ეჩვენებინა ის, რასაც უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ მისი თანამედროვენი – ქალის სახე-ხასიათი თავისი პრობლემატიკით, სათუთი გრძნობებით, ემოციებითა და ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებით.

1938 წელს ქვეყნდება მესამე რომანი „იუგერმანი“, რომლის მთავარი გმირი ასევე უცხოელია. კარალაცისმა სამივე რომანი: „პოლკოვნიკი ლიაპკინი“, „დიდი ქიმერა“ და „იუგერმანი“ გააერთიანა ტრილოგიაში სახელწოდებით „შეგუება ბერძნული მზის ქვეშ“.

ომის შემდეგ კარაღაციისი იწყებს ნაწარმოებების სერიის წერას სათაურით „მომაკვდავი სამყარო“. ეს სერია ასახავდა საბერძნეთის უახლეს ისტორიას 1821 წლის რევოლუციიდან მის თანამედროვე ეპოქამდე. სამწუხაროდ მწერალმა მხოლოდ სამი რომანის დაწერა მოასწრო. ეს რომანებია „კასტროპირგოსის კოცაბასისი“, * „სისხლი დაღვრილი და შექენილი“, „მიხალოსის ცხოვრების ბოლო წლები“. სამივე რომანში აღწერილია მთავარი მოქმედი გმირის – მიხალოს რუსისის და მისი ოჯახის ისტორია. ნაწარმოების მთავარი თემაა 1821 წლის რევოლუცია.

1946 წელს გარდაიცვალა მწერლის დედა, რომელსაც კარაღაციისმა მიუძღვნა რომანი „ღრმა ძილი“. ნაწარმოები ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ღრმად ფსიქოლოგიურია.

გულახდილობა, გახსნილობა, შეუფარვობა, მგზნებარობა, სიფიცხე ის ეპითეტებია, რომლებიც კარაღაციისის, როგორც მწერლის და როგორც პიროვნების შესახებ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარის მიერ თქმულა. მისი ნაწარმოებების მომხიბვლელობა, სწორედ მის წერის სტილშია. მისი ენა, ზოგიერთ თავის თანამედროვე მწერალთან შედარებით, საოცრად მარტივია და ამასთანავე ძალზე ორიგინალური.

მ. კარაღაციისის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რომანები „ვასილის ლასკოსი“ (1948 წ.), „ღვთის ხელში“ (1954 წ.), „სერგიოსი და ბაკქოსი“ (1959 წ.) „ყვითელი კონვერტი“ (1956 წ.) და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კარაღაციისის მოთხრობები. 1951 წელს გამოდის მისი მოთხრობათა კრებული „დიდი სვინაქსარი“, ხოლო მოგვიანებით „დიდი ლიტანიობა“ (1955 წ.). მ. კარაღაციისის ყველაზე ცნობილი მოთხრობებია „ყავისფერმოსასხამიანი კაცი“, „წვიმის წყალი“, „ქარიშხალი“, „ბატონი“, „უნმინდურთა ლიტანიობა“, „სიცხე“ და სხვ.

„არასოდეს არ მიწყენინებია მოძმესთვის და ლიტერატურული წრეებისათვისაც კეთილსასურველი ვარ. ეს ჩემს გასვენებაზე გამოჩნდება, სადაც სხვადასხვა რჯულის ხალხი მოვა, რათა საკუთარი თვალით დარწმუნდეს, რომ მოკვდი, დავიმარხე, ეშმაკთან წავედი. და როცა ყველანი სასაფლაოდან წავლენ, შვებით ამოისუნთქავენ. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი სამოთხეში ანგელოზებს შორის დამიდებს ბინას. ამინ“ – ამბობდა კარაღაციისი.

* Κοτζάμπας – ისტ. თემის უხუცესი, თავმჯდომარე, მმართველი (თურქთა ბატონობის დროს).

მწერალი 1960 წელს, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი რომანი „10“ დაუსრულებელი დარჩა.

კოზმას პოლიტისი XX საუკუნის 30-იანელთა თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება სავსეა სილამაზით, სინათლით, სიყვარულით და ახალგაზრდული სულისკვეთებით.

კოზმას პოლიტისი (პარასკევას ტაველუდისის ფსევდონიმი) დაიბადა 1888 წელს ათენში. მწერლის ფსევდონიმი სიტყვა „კოსმოპოლიტის“ აღმნიშვნელია და მწერლის კრედოს გამომხატველი.

1930 წელს ყველასათვის მოულოდნელად, წარმატებული კარიერის მქონე ადამიანი (მომავალი ლიტერატორი ათენში ერთ-ერთი ბანკის დირექტორად მუშაობდა) 42 წლის ასაკში გადაწყვეტს გახდეს მწერალი. ამავე წელს ის აქვეყნებს თავის პირველ რომანს „ლიმონის ტყე“. რომანი არ დარჩენია ბერძნული ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღების მიღმა. მიუხედავად მრავალი უარყოფითი მხარისა, ნაწარმოებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ბერძენ მკითხველში. „მკითხველს, საერთოდ არც კი უნდა გადაეშალა წიგნი: ადამიანი, რომელმაც არ იცის წერა, რომელიც არ ფლობს ენას, რომელსაც უჭირს წინადადების შედგენა. გამოუცდელი ადამიანი. რა ძალას შეეძლო ვეიძულებინეთ, მივყოლოდით მის თხრობას? მხოლოდ მომაჯადოებელ გენიალურობას“, – ამბობს მ. პანაიოტო-პულოსი.

„ლიმონის ტყე“ არის ორი ახალგაზრდის – პავლოსის და ვირჯინიას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. პავლოს თავდავინწყებით უყვარს ვირგო, და სწორედ ამ სიყვარულის გადასარჩენად ის უარს ამბობს მასთან ქორწინებაზე. „ქორწინება მოკლავს სიყვარულს“, – ამბობს მთავარი გმირი. ამის შემდეგ პავლოსი გადაიხვეწება სუმატრაში, მაგრამ შემთხვევით გაზეთიდან შეიტყობს, რომ ვირგო სხვა მამაკაცზე დაქორწინდა და თავს იკლავს. ერთი შეხედვით ეს რომანი ნამდვილი მელოდრამაა, თუმცა მწერალი ისეთ თბილ და ნათელ ფერებში გადმოგვცემს ამ ტრაგიკულ ისტორიას, რომ მკითხველი მართლაც მოჯადოებული რჩება ნაწარმოებით. რომანში ერთმანეთთანაა შერწყმული ბუნების სურათები, სიყვანვილე და სიყვარული – მოქმედება ხომ დელფოსში, პოროსში, ლიმონის ტყეში ხდება. როცა რომანი პირველად გამოქვეყნდა, ყველას ეგონა, რომ მისი ავტორი 20 წლის ახალგაზრდა მწერალი იყო. „ლიმონის ტყეში“ ნათლად ჩანს პოლიტისის სათუთი, ნაზი დამოკიდებულება ქალის მიმართ, სიყვარულის მისეული ხედვა.

პირველი რომანის წარმატების შემდეგ, პოლიტისი თავს უფლებას აძლევს გამოაქვეყნოს მეორე რომანი „ჰეკატე“ (1933 წ.), თუმცა ამ რომანმა კრიტიკოსების უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. რომანის მთავარ გმირს, მეოჯახე პავლოს კალანისს, თავისი საყვარლის ქალიშვილი, ერსი შეუყვარდება. ერსი მისთვის საწუკვარ ქალად იქცევა, თუმცა გაიგებს თუ არა, რომ გოგონა არ არის ქალწული, მას ზურგს აქცევს. საბოლოოდ ერსი თავს იკლავს, პავლოსი კი უცხოეთში გადაიხვეწება, კონკრეტულად კი საქართველოში, რომელიც მსოფლოში ყველაზე ლამაზი ქალებით არის ცნობილი.

1934 წელს პოლიტისი აქვეყნებს მოთხრობებს: „ქალბატონი ელეონორა“, „მარინა“ და რომანს „ეროიკა“, რომელიც 1939 წელს სახელმწიფო ჯილდოს მიიღებს საუკეთესო რომანისათვის. ეს რომანი პოლიტისის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. მწერალი და მეცნიერი ნორა ანაღნოსტაკი „ეროიკას“ ბერძნული ლიტერატურის მითიურ წიგნს უწოდებს. რომანი იწყება ბავშვების მოგონებებით ქალაქ სმირნას შესახებ. რომანის მიხედვით ათი წლის ბავშვები ძალიან სწრაფად მწიფდებიან თავიანთი თანატოლის – ანდრეასის სიკვდილის შემდეგ. წიგნი არ არის რეალისტური. რომანში დიდი ადგილი ეთმობა იმ გარდამავალი პროცესის ჩვენებას, რომელსაც ადამიანი ბავშვობიდან სიყმაწვილეში გადაჰყავს. პოლიტისის გმირი, დიდი თუ პატარა, ოცნებასა და სინამდვილეს შორის სრულიად უსუსურ მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების მთავარი გმირები ბავშვები არიან, ისინი თანაბრად ეკუთვნიან, როგორც ბავშვების, ასევე მოზრდილთა სამყაროს. ამის მიუხედავად, რომანი დიდებისთვის არის განკუთვნილი.

1943 წელს მწერალი აქვეყნებს შესანიშნავ მოთხრობას სახელწოდებით „ჯულია“, ორ წელიწადში კი გამოდის რომანი „გირის კვარტალი“.

1945 წლიდან პოლიტისი აქტიურად მოღვაწეობს პოლიტიკაში და 1951 წელს პატრის დეპუტატობის კანდიდატიც კი არის. მისი თეატრალური ნაწარმოები „კონსტანტინე დიდი“ და მოთხრობები „ერთი ორმაგი“, „ნაკადი“ მის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ციკლს განეკუთვნება.

1962 წელს პოლიტისი აქვეყნებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო რომანს „ხაძიფრანკოსთან“. ამ პერიოდში პოლიტისი 74 წლის იყო. რომანი მისი მშობლიური ქალაქის – სმირნას შესახებაა, რომელიც უკვე მტრისგან არის განადგურებული. რომანის გმირები უბრალო ადამიანები არიან, რომლებიც მწერალს გულწრფელად უყვარდა. XX საუკუნის

მწერალი სტრატის ცირკასი ამ რომანს შედეგს უწოდებს: „30-იან-ელთა თაობის რომანი ბევრით არის დავალებული „დაკავალი იონის“ დრამასთან. ახლა, 40 წლის შემდეგ, სამართლიანია და საბედისწერო, რომ ეს ციკლი ასეთი შედეგით დასრულდეს“.

მეუღლის სიკვდილის შემდეგ მწერალი მუშაობას იწყებს თავის ბოლო რომანზე სახელწოდებით „დასასრული“. რომანში ასახულია XX საუკუნის სმირნას ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ისტორია, რომლის გმირებიც ასევე უბრალო ადამიანები არიან.

კოზმას პოლიტისი 1974 წელს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1975 წელს კი მისი ნახევრად დასრულებული რომანი „დასასრული“ გამოვიდა.

პანდელის პრეველაკისი 1909 წელს კუნძულ კრეტაზე, ქალაქ რეთიმნოში დაიბადა. მწერალმა იურიდიული განათლება ათენის უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მოგვიანებით პარიზში გაემგზავრა, სადაც ხელოვნების ისტორია შეისწავლა. ცნობილი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის უახლოესი მეგობარი, 19 წლის ასაკში წარსდგა პირველად ბერძნული ლიტერატურული წრეების წინაშე. 1938 წელს მან გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „ერთი ქალაქის მატთან“, სადაც მწერალი დიდი სიყვარულით და ნოსტალგიით მოგვითხრობს მშობლიური ქალაქის ისტორიას.

ლექსების ორი კრებული – „შიშველი პოეზია“ (1939 წ.) და „უფრო მეტად შიშველი პოეზია“ (1941 წ.) და რომანის „მედიკოსის სიკვდილი“ (1939 წ.) გამოქვეყნების შემდეგ, 1945 წელს მწერალი აქვეყნებს პროზაულ ნაწარმოებს „მიტოვებული კრეტა“, რომლის ქვესათაურია „66 წლის აჯანყების მატთან“. ნაწარმოებში ასახულია 1866 წლის დიდი კრეტული ეპოპეის მოვლენები.

1948-50 წლებში გამოდის პრეველაკისის ტრილოგია სახელწოდებით „კრეტელი“. ტრილოგია წარმოადგენს ე.წ. ისტორიულ რომანს, სადაც აღწერილია კრეტელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის 1866 წლიდან 1910 წლამდე. რომანში საინტერესოდ არის გაშლილი მთავარი გმირების ფსიქოლოგიური ხასიათები და გადმოცემულია ზოგადად კრეტელი ხალხის მეზრძოლი სული. საინტერესოდ არის წარმოდგენილი ნაწარმოების მთავარი გმირის – კონსტანტინოს მარკანდონისის სახე, რომელიც, უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე, ვაჟ-კაცურად იბრძვის მისი თავისუფლებისათვის.

1959-1966 წლებში პრეველაკისი აქვეყნებს მეორე ტრილოგიას სახელწოდებით „შემოქმედების გზები“, სადაც შემდეგი რომანებია გაერთიანებული: „სიკვდილის მზე“, „მედუზას თავი“ და „ანგელოზთა პური“. ნაწარმოები გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მთავარი მოქმედი გმირის – კრეტელი გიორგაკისის ახალგაზრდობის წლები მსოფლიო ომს ემთხვევა. ის ომის წლებში ტოვებს თავის მშობლიურ კუნძულს და ათენში მიემგზავრება. ომის შემდეგ ის იმედებით აღსავსე ბრუნდება კრეტაზე, თუმცა მშობლიურ მხარეში დაბრუნების შემდეგ მას იმედები უცრუვდება.

მესამე დაუსრულებელი ტრილოგია სახელწოდებით „განდეგილები და განდეგნილები“ პრეველაკისმა 1970-74 წლებში გამოაქვეყნა. ტრილოგია შედგება რომანებისაგან: „ანგელოზი ჭაში“ და „უკუთვლა“.

პანდელის პეველაკისი 1986 წელს 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

30-იანელთა თაობის არანაკლებ მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მწერალი **თანასის პეცალის-დიომიდისი**. იგი დაიბადა ათენში 1904 წელს ბურჟუაზიულ ოჯახში. ბერძნულ მწერლობაში ის პირველად 1925 წელს გამოჩნდა მოთხრობათა კრებულით „რამდენიმე სურათი ერთ ჩარჩოში“. 1933-1935 წლებში მწერალი აქვეყნებს ტრილოგიას „ძლიერი და სუსტი თაობები“, რომელიც შემდეგი რომანებისაგან შედგება: „მარია პარნის მონოდება“ (1933 წ.), „გზაჯვარედინი“ (1934 წ.) და „შთამომავალი“ (1935 წ.). თავად ავტორი ნაწარმოებს უწოდებს ათენის საზოგადოების ქრონოგრაფიას 1863-იდან 1940 წლამდე. ტრილოგიის მთავარი იდეა ბურჟუაზიული ფენის დაქვეითების ჩვენებაა. ნაწარმოების სამივე ნაწილი მოგვიანებით 1950 წელს გაერთიანდა ერთ რომანში სათაურით „მარია პარნი“. რომანში მოთხრობილია ბერძნული ბურჟუაზიული ოჯახის ისტორია XIX საუკუნის შუა წლებიდან I მსოფლიო ომამდე.

1937 წელს პეცალისი აქვეყნებს რომანს „ადამიანური თავგადასავალი“, ხოლო 1939 წელს „ჯადოქარი საჩუქრებით“.

1939 წლიდან მწერალი იწყებს მუშაობას ისტორიულ რომანზე. მას სურდა დაენერა ნაწარმოები საბერძნეთის ისტორიის ყველაზე უფრო რთულ და ბნელ წლებზე. სწორედ ამ თემას მიუძღვნა მწერალმა რომანი „მავროლიკები“ (1947-48 წწ.). რომანის ორ ტომში მოთხრობილია XVI საუკუნის შუა წლებში ერთი ბერძნული ოჯახის ამბავი თურქთა ბატონობის პერიოდიდან მოყოლებული რიდას ფერეოსამდე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პეცალისის რომანი „წმინდა სამების ზარი“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა. ეს ნაწარმოები დასახლება პერახორიში არსებული პატარა ბიზანტიური ეკლესიის შესახებ თხრობით იწყება. თუმცა რომანის მთავარ თემას არ წარმოადგენს წმინდა სამების ზარი. ნაწარმოებში აღწერილია პერახორიში მცხოვრებ ადამიანთა მღელვარება და დიდი აჯანყება.

1821 წლის რევოლუციას მიუძღვნა მწერალმა თავისი მესამე ისტორიული რომანი „ბერძნული განთიადი“, რომელიც 1962 წელს გამოქვეყნდა. ნაწარმოებში საბერძნეთის სამოცდაათწლიანი ისტორიაა ასახული, დაწყებული XVIII საუკუნის დასასრულიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე.

ისტორიულ რომანთა ციკლს განეკუთვნება აგრეთვე რომანები „ცამეტი წელი 1909-1922“ (1964 წ.) და „დაწყველილი ადგილი“ (1972 წ.).

პეცალისი არის მოთხრობათა მრავალი კრებულის ავტორი. ესენია: „პარალელური და უწყვილო“ (1935 წ.), „იქით ზღვაში“ (1944 წ.), „ჩვენი შვილები“ (1946) და სხვ. თანასის პეცალისი გარდაიცვალა ათენში 1995 წელს.

თრასოს კასტანაკისი დაიბადა 1898 წელს ქალაქ ტატავლაში. ბერძნულ მწერლობაში ის გამოჩნდა მოთხრობით „შეშინებული სული“ (1918 წ.). კასტანაკისი მრავალი მოთხრობის და რომანის ავტორია. მისი ცნობილი მოთხრობებია: „მოცეკვავე გრაფინია ფელიჩიტა“ (1928 წ.), „ღამის და სიყვარულის პარიზი“ (1929 წ.), „შვიდი ისტორია“ (1944 წ.), სადაც მწერალი წარმოგვიდგება ცხოვრებისეული პრობლემების რეალისტური ხედვით. იგივე თემატიკაა ასახული თასოს კასტანაკისის რომანებშიც: „უფლისწულები“ (1924 წ.), „ევროპაში“ (1929 წ.), „ადამიანთა მოდგმა“ (1932 წ.), „მახე“ (1962 წ.) და სხვ. პარიზში გატარებულმა წლებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

კასტანაკისი არ არის მხოლოდ ბერძენი მწერალი, ის უფრო ევროპელი მწერალია, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო პრობლემები აღელვებს. მისი ნაწარმოებები განკუთვნილია არა ერთი კონკრეტული წრისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის. არც მისი გმირები ეკუთვნიან რომელიმე ერთ კონკრეტულ ფენას, არამედ საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები არიან.

თასოს კასტანაკისი 1967 წელს გარდაიცვალა.

ელი ალექსიუ, ლალატია კაზანძაკისის უმცროსი და, დაიბადა კუნძულ კრეტაზე ქალაქ ირაკლიონში 1898 წელს. პროფესიით ფრანგული ენის სპეციალისტი გიმნაზიაში ასწავლიდა. 1945 წელს ის პარიზში, რუმინეთში და აღმოსავლეთის ქვეყნებში წავიდა სამოგზაუროდ, ხოლო ლალატიას გარდაცვალების შემდეგ კვლავ საბერძნეთში დაბრუნდა.

ელი ალექსიუს შემოქმედება ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი ცნობილი მოთხრობებია: „მძიმე ბრძოლები მოკლე სიცოცხლისთვის“ (1931 წ.), „ადამიანები“ (1962 წ.), „ცოცხალთა საკეთილდღეოდ“ (1972 წ.). ასევე ცნობილია მისი რომანები: „ქალთა მესამე ქრისტიანული გიმნაზია“ (1934 წ.), „ბაგაბალის აღმზრდელის დამხმარე“ (1972 წ.) და სხვ.

1972 წელს ქვეყნდება ელი ალექსიუს ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „დომინირებული“. ნაწარმოებში მოთხრობილია ახალგაზრდობის ცხოვრებისეული პრობლემების შესახებ. მთავარი გმირები კ. კრეტიდან ათენში ჩამოდიან სასწავლებლად, თუმცა მათ აქ ათენის ახალგაზრდების სრულიად განსხვავებული სამყარო ხვდებათ, რომელიც პატივს აღარ სცემს ოჯახის ადათ-წესებს და სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში.

